გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თეთრი

№115 (1141) 13 – 15 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რატომ იძია შური მაია ფანჯიკიძემ 20 ქვეყნის საპატიო კონსულზე

დიპლომატების დღევანდელი მდგომარეობა ვენის კონვენციას არ შეესაბამება

გვ.7

დარღვევები, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამოავლინა

გვ.3–4

ექსკლუზიური ინტერვიუ მთავრობის ადმინისტრაციის უფროს მაია ცქიტიშვილთან

„შესაძლოა სააკაშვილი, პუტინი და მედვედევი დაიჭირონ“

ჰააგის სასამართლოს რა განაჩენს ელის იურისტი და უფლებადამცველი ლია მუხაშავრია გვ.8

სკანდალური ინტერვიუ კობა ხაბაზთან

გვ.5

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

გვ.2

გვ.4

ჯანდაცვის სამინისტროს ანტიმიკრობული თერაპიის მიმართულებით კონსულტაციებს „გლობალური ალიანსი“ გაუწევს

ზოოფილის „სასამართლო“ ზონაზე

პატიმრის დღიური

რა „განაჩენი“ გამოუტანეს თხის გაუპატიურებისთვის „მაყურებლებმა“ მეგრელ პატიმარს გვ.6

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩ ბეტინა კადენბახს შეხვდა.

შეხვედრისას აღინიშნა საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის მნიშვნელობა. მხარეებმა მიმოიხილეს თანამედროვე მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ვითარება და გამოკვეთილი ტენდენციები. ისაუბრეს ორი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ და ხაზი გაუსვეს ორი სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურების შესაბამისი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გააქტიურების აუცილებლობას.

ვახტანგ გომელაურმა და ბეტინა კადენბახმა სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის უახლოეს პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა კომენტარი გააკეთა: **„ძალიან საინტერესო და კონსტრუქციული შეხვედრა იყო. აქ მოვედი პირველ რიგში იმიტომ, რომ წარმედგინა თავი და ასევე მინდოდა, გამეგო უფრო მეტი ამ სამსახურის შესახებ. რა პასუხისმგებლობა აქვს მას, რა განსხვავებაა ახლანდელსა და ძველ ვითარებას შორის. განსაკუთრებით, რა პრიორიტეტები იყო მაშინ და რა პრიორიტეტებია ახლა. ასევე მინდოდა მიმეღო ინფორმაცია სამომავლო თანამშრომლობაზე“.**

საქართველოში სტიქია მძვინვარებს

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ავდარია და როგორც სინოპტიკოსები აცხადებენ, უამინდობა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს. მანამდე კი, სტიქიამ, პრობლემები სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებლებს შეუქმნა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ნუგზარ სურმანიძის განცხადებით, რეგიონში უამინდობის გამო მიყენებული ზარალის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია. სტიქიის შედეგად აჭარის რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტში მეწყერი ჩამოწვა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. ძლიერი ქარის შედეგად, ქობულეთში რამდენიმე ადგილას წაიქცა ხე, რის გამოც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პარალიზებული იყო გადაადგილება ცენტრალურ მაგისტრალზე. მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი, მათ შორის, ერთი მრავალბინიანი სახლი და ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის სახურავი, სადაც თვითნებურად შესახლებული 5 ოჯახი ცხოვრობს. დაბა ჩაქვში, ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ, დაინგრა საცხოვრებელი სახლი, რის შედეგადაც, საჭირო გახდა ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. ხელვაჩაურში, სოფელ კირნათში, ქედასა და კაპრეშუმში, ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხეების დაცემის გამო, დაზიანებულია რამდენიმე ოჯახის სახლის სახურავი. განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ორი ოჯახი გადაყვანილია უსაფრთხო ადგილზე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ფიქსირდება ქედაში. სოფელ მახუნცეთში მდინარის კალაპოტის შეცვლის შედეგად, საჭირო გახდა რამდენიმე ოჯახის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა. სოფლებში ცხმორისში, დანდალოში, ოქტომბერში, პირველ მაისში, ზვარეში და წონიარისში მოსახლეობას მიადგა სხვადასხვა სახის ზიანი. შუახევში 10-მდე სოფელში ძლიერმა ქარმა დააზიანა მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების სახურავები.

პრობლემები შეიქმნა ჩოხატაურშიც, სადაც მეწყერის ჩამოწოლის გამო რამდენიმე მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა ჩაიკეტა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი კუჭავას ინფორმაციით, ძლიერი წვიმის გამო, შუა სურების, დიდი ვანისა და ზემო სურების გზაზე მეწყერი რამდენიმე ადგილას ჩამოწვა. სოფელ ბჟოლიეთის და ზემო სურების მიმართულებით გზა ჩაკეტილია. ძლიერმა წვიმამ და ღვარცოფმა, ამასთანავე დააზიანა რამდენიმე სოფლის შიდა სასოფლო გზა, დაიტბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები. ძლიერი წვიმის გამო, დაზიანდა ელექტროსადენები და რამდენიმე სოფელს ელექტრომომარაგება შეწყვეტილი აქვს.

სტიქიამ არც აღმოსავლეთ საქართველო დაინდო. ძლიერი ქარი იყო კახეთშიც. ქარისგან წაქცეული ხე, საგარეჯოსა და სოფელ იორმუღანლოს დამაკავშირებელ გზაზე მოძრავ ავტომობილს დაეცა. ავტომობილში ოჯახის სამი წევრი იყო, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში აცხადებენ, რომ დაშავებულებს თავისა და ხერხემლის ტრავმები აღენიშნებათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით, ხეების წაქცევა ძლიერმა ქარმა გამოიწვია. აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა დროებით შეზღუდულია, რადგანაც მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. საგარეჯოსა და სოფელ იორმუღანლოს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე ალვის ხეების ქარსაცავი ზოლია.

„ვერსიანიუსი“

ფინანსთა სამინისტრო პარლამენტს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს 30 ნოემბერს წარუდგენს

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური პარლამენტის წევრებს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს აცნობს. მისი თქმით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი, საუბარია ნაერთ ბიუჯეტზე, 8 მილიარდ 480 მილიონი ლარია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 5.1%-ს შეადგენს. 2016 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მილიარდ 355 მილიონი ლარით განისაზღვა. საგადასახო ბიუჯეტის მაჩვენებელი 7 მილიარდ 780 მილიონი ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23%-ია: **„გრანტებს ველოდებით 255 მილიონის მოცულობით, მათ შორის საბიუჯეტო დახმარება იქნება 125 მილიონი ლარი, ხოლო საინვესტიციო ე.წ. ხარჯზე მიბმული გრანტები იქნება 130 მილიონი ლარი. სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 340 მილიონი ლარით. არაფინანსური აქტივების კლება, ე.წ პრივატიზაცია, ბიუჯეტში განსაზღვრულია 200 მილიონი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი 90 მილიონი ლარია, რაც წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებაზე მოდის. ვალდებულებების ზრდის სახით, მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია მილიარდ 75 მილიონი ლარით. აქედან, საინვესტიციო პროექტებს მოხმარდება გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები მილიარდ 80 ლიონი ლარის მოცულობის. მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარება იქნება 399 მილიონი ლარი. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა იქნება 200 მილიონი ლარი. წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მიმდინარე წლის შემოსულობების ისევე, როგორც გადასახდელების მთლიანი მაჩვენებელი განსაზღვრულია 9 მილიარდ 920 მილიონი ლარის მოცულობის, რისი გათვალისწინებითაც სახელმწიფო ხაზინაზე არსებული ნაშთი დარჩება უცვლელი. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრება 9 მილიარდ 920 მილიონი ლარით, რაც 2015 წლის გეგმას 345 მილიონი ლარით აღემატება“.**

მინისტრის თქმით, წარმოდგენილი პროექტი ჯერ კიდევ გადამუშავების სტადიაშია: **„მიმდინარეობს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა და პროექტის საბოლოო ვარიანტს საქართველოს პარლამენტში წარმოვადგენთ 30 ნოემბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში გავაგრძელებთ კომუნიკაციას კომიტეტებთან, ფრაქციებთან, ცალკეულ პარლამენტის წევრებთან იმისათვის, რათა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ის სულისკვეთება, რომელიც არის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალ წელს შევინარჩუნოთ ეკონომიკის ზრდის ტემპები; გავზარდოთ ეკონომიკა; ეკონომიკა იყოს სტაბილური; ინფლაცია იყოს პროგნოზირებულ პარამეტრებში და ამავე დროს, მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა“.** ბიუჯეტის პროექტი მეორედ მთავრობამ პარლამენტში გასულ კვირას შეიტანა, თუმცა, მისი კორექტირება არ განხორციელებულა. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელიც 2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით პარლამენტში გააჩნიათ, პენსიების გაზრდის საკითხია. მთავრობას პარლამენტისგან სხვა შენიშვნებიც გადაეგზავნა, თუმცა ის უკან დაბრუნებულ პროექტში ასახული არ არის. პარლამენტს ბიუჯეტის დასამტკიცებლად ვადა დეკემბრის ბოლომდე აქვს.

„პია“

ანდრო ბარნოვი ნაციონალურ მოძრაობას ტოვებს

ნაციონალური მოძრაობის წევრი ანდრო ბარნოვი პარტიას ტოვებს. ამის შესახებ ბარნოვმა ინფორმაცია Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა, სათაურით „გამოსავალი ჩარჩოებს მიღმაა. ვტოვებ პარტიას“.

ანდრო ბარნოვი ნაციონალურ მოძრაობაში მისვლას იხსენებს და აღნიშნულ გადაწყვეტილებას მისი პოლიტიკური კარიერის ყველაზე სწორ და ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს. ამასთან, ბარნოვი აცხადებს, რომ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას აფუძნებს.

„ნაციონალურ მოძრაობაში 2013 წლის 12 იანვარს მივედი — როდესაც ნაციონალური მოძრაობა, იმ დროს ერთადერთი პროდასავლური პარტია, არჩევნებში დამარცხებული, რუსული პროპაგანდის განწირული მსხვერპლი იყო; როდესაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მასში კეთროვანს ხედავდა, ახალი ხელისუფლება კი განადგურებით ემუქრებოდა. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი პოლიტიკური კარიერის ყველაზე სწორი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

მთელი ჩემი დრო და ენერგია, როგორც 2012 წლის არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ, მიმართული იყო იქით, რომ გაძლიერებულიყო სამოქალაქო საზოგადოება, გაძლიერებულიყო სახელმწიფო, საქართველოში გაძლიერებულიყო დასავლური კულტურა და ამოძირკვულიყო რუსეთის დამღუპველი გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე. მიმაჩნია, რომ ამ მიზნების მისაღწევად მართლაც მოვახერხე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, თუმცა ისიც ცხადია, რომ წინ კვლავაც დიდი გზა გვიდევს.

დღეს სიტუაცია პარტიულ დაპირისპირებებში ჩაიკეტა. არადა, ბრძოლის ველი გაცილებით ვრცელია. საქართველოს მომავლის თვალსაზრისით, მხარე ვერ იქნება რომელიმე პოლიტიკური პარტია. აქ მხარეა ჩვენი საზოგადოება, ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც სწამს მომავლის და ხელში არ შეჰყურებს რომელიმე ბატონს. სხვადასხვა რთული თუ მარტივი მიზეზის გამო, ამ ხედვის დამკვიდრებას პოლიტიკური პარტიები ვერ უზრუნველყოფენ. საჭიროა საზოგადოებასთან პირისპირ მუშაობა, საჭიროა პირუთვნელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა — ყოველგვარი პარტიული ინტერესისა და პარტიული მიზნების გარეშე.

მე ვტოვებ პარტიას და მის პოლიტიკურ საბჭოს, ვაფუძნებ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას და სწორედ ამ რანგში გავაგრძელებ მოღვაწეობას. დეტალებს მალე მოვახსენებ საზოგადოებას“.

„პია“

თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ყოფილ მენეჯმენტს უფლებამოსილება აღუდგინა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით დვალის „რუსთავი 2“-ის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე 5 ნოემბრის განჩინების გაუქმების პარალელურად, ტელეკომპანიის ყოფილ მენეჯმენტს უფლებამოსილება აღუდგა. ამის თაობაზე ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს: **„სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლევან ყარამანაშვილის, გიორგი ყარამანაშვილის და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ წარმომადგენლების საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე უფლებამოსილება აღუდგინა საწარმოს წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს — ყოფილ მენეჯმენტს“.**

სასამართლო, ერთის მხრივ, დვალისთვის დროებითი მმართველის უფლებამოსილების გაუქმებას, მეორე მხრივ, კი ჩამორთმეული უფლებამოსილების დროებითი მენეჯმენტისთვის აღდგენის საფუძვლად ტელეკომპანიაში მოსალოდნელი ვაკუუმის თავიდან აცილებას ასახელებს: **„თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების ნაწილი დავით დვალის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე გაუქმდა, ხოლო რევაზ საყევარიშვილის ნაწილში ძალაში დარჩა.**

დროებითმა მმართველებმა — დავით დვალმა და რევაზ საყევარიშვილმა, სასამართლოში წარმოადგინეს თავიანთი პოზიცია, რომელშიც მიუთითებდნენ, რომ უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგებოდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სასამართლომ, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ დროებითი მმართველის მიერ თავისი ფუნქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იქმნება ვაკუუმი შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ საქმიანობაში, რადგან წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს შეჩერებული აქვთ უფლებამოსილება“.

„პია“

დარღვევები, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამოავლინა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის აუდიტორული შემოწმების დასკვნა გამოაქვეყნა. აუდიტორული შემოწმება 2011, 2012, 2013 და 2014 წლებს ეხება. ძირითადი დარღვევები, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა მთავრობის კანცელარიაში გამოავლინეს, 2011-2012 წლებში დაფიქსირდა, ანუ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობა მართავდა.

აუდიტორული შემოწმების ძირითადი დეტალები

2011-2012 წლებში, პრემიები და ჯილდოები გაიცა „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლიდან. აუდიტის დასკვნის მიხედვით, პრემიებად გაცემული თანხების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის ბრძანებებში წარმოდგენილი საფუძვლები არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მიხედვით „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენ მიმდინარე ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებულ გაცემებს, რადგან პრემიები შრომის ანაზღაურების მუხლიდან უნდა გაცემულიყო.

2011 წელს, მიმდინარე ხარჯებმა 613 810 ლარი შეადგინა, რაც პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაცემულ პრემიებსა და ჯილდოებს მოხმარდა. მთლიანობაში პრემიებზე 567 050 ლარი გაიცა, აქედან პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა და მინისტრის მოადგილეებმა — 516 900 ლარი, სახელმწიფო რწმუნებულებმა და გუბერნატორებმა — 50 150 ლარი მიიღეს. ჯილდოებად კი 46 760 ლარი გასცეს.

2012 წელს, მიმდინარე ხარჯებში 125 602 ლარი დაფიქსირდა, რაც ასევე პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემული პრემიები და ჯილდოები იყო. პრემიებზე 84 960 ლარი, ხოლო ჯილდოებზე — 40 642 ლარი გასცეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა — 74 340 ლარის პრემია, ხოლო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა — 10 620 ლარის პრემია მიიღეს.

სოციალური ქსელის Facebook-ის სარეკლამო მომსახურების დაფინანსების მიზნით, მთავრობის კანცელარიამ 2011 წელს — 109 809 ლარი; 2012 წელს — 60 897 ლარი, ხოლო 2014 წელს — 15 402 ლარი დახარჯა. სახელმწიფო აუდიტორების დასკვნით ირკვევა, რომ ეს არარეზიდენტი საწარმოს მიერ, საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება იყო. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე და 166-ე მუხლების მიხედვით, ასეთი მომსახურება დამატებითი ღირებულების გადასახადით (დღგ) უკუდაბეგვრას ექვემდებარებოდა, რაც არ განხორციელებულა.

2012 წელს, საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში, სარეზერვო ფონდების გარდა, მისი მსგავსი ფონდი შეიქმნა. ამ ფონდიდან, პრემიებსა და ჯილდოებზე 4 292 320 ლარი დაიხარჯა. ფონდის ასიგნებების ფორმალურ განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციას — ფინანსთა სამინისტრო, ხოლო ფაქტობრივ განმკარგავს — მთავრობის კანცელარია წარმოადგენდა. რაც მთავარია, მთავრობის კანცელარიის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ ფონდიდან განხორციელებული ხარჯები ასახული არ არის.

2012 წელს, მთავრობის კანცელარიის შესაბამისი სამსახურების არაეფექტური მუშაობის შედეგად, თბილისში, ათონელის №25-ში მდებარე პრემიერ-მინისტრის ოფისის (მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული შენობის) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებებით, სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილ ვადაში ვერ დასრულდა. შედეგად, 2012 წლის 31 დეკემბრისთვის, დასრულებული შენობის ნაცვლად, კანცელარიის ბალანსზე ირიცხებოდა 13 463 597 ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება შპს „არტესის“ მიმართ და 3 108 478 ლარის დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი.

2012 წლის 31 დეკემბრისთვის, კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული არ არის ათონელის №25-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართი. ასევე, 2014 წლის 31 დეკემბრისთვის, მთავრობის კანცელარიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არ არის ასახული თბილისში, გიორგი ლეონიძის №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები. ასევე, ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით დარეგისტრირებული, არასასოფლო-სამეურნეო ფართზე მდებარე შენობა-ნაგებობები.

მთავრობის ადმინისტრაციაში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით, სწორედ ლეონიძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებია გადაცემული. ორივე შენობა ასახულია ბალანსში, მაგრამ ნატურალურ ერთეულებში, ანუ კვადრატული მეტრის ფართობში და არა შენობის ღირებულების სახით. ათონელის №25-ში მდებარე შენობა კი 2013 წელს მოიხსნა კანცელარიის ბალანსიდან.

2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში არაფინანსური ძირითადი აქტივები 42 009 ლარითაა გაზრდილი. აუდიტების დასკვნით, ამ შემთხვევაში, გამორჩენილია ცვეთის დარიცხვა 241 ერთეულ ძირითად აქტივზე. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შედგენილ ფორმა №2-ში კი პირიქით, ხარჯებში ძირითადი კაპიტალის მოხმარება იმავე თანხითაა შემცირებული. სახელმწიფო აუდიტებს მიაჩნიათ, რომ ეს არ შეესაბამება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №436 ბრძანების მოთხოვნებს.

2012 წლის ივლის-ოქტომბერში, მთავრობის კანცელარიამ საწვავი იმ მოცულობით გახარჯა, რაც სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით, ნორმებისა და გონივრულობის ფარგლებს სცილდება და საბიუჯეტო თანხების არაეფექტურ, არამიზნობრივ ხარჯვას წარმოადგენს. 2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე, ტრანსპორტის შენახვა-ექსპლოატაციაზე 148 380 ლარი დაიხარჯა, მათ შორის, საწვავზე — 127 206 ლარი (58 396 ლიტრი); 2012 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით — 566 446 ლარი, მათ შორის საწვავზე — 434 031 ლარი (202 618 ლიტრი). აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ივლის-ოქტომბერში, ტრანსპორტის შენახვა-ექსპლოატაციაზე 546 296 ლარი დაიხარჯა, მათ შორის, საწვავზე — 421 269 ლარი (196 648 ლიტრი).

საბუღალტრო ხარვეზები 2013-2014 წლებში

საქართველოს მთავრობის კანცელარიის აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, მაია ცქიტიშვილი ესაუბრება.

— ქალბატონო მაია, ეთანხმებით თუ არა სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც 2013-2014 წლებს ეხება?

— ამ პერიოდში რამდენიმე ტექნიკური ხასიათის, ძირითადად, საბუღალტრო ხარვეზი დადგინდა. გარკვეულ აქტივებზე ამორტიზაციის (ცვეთის) დარიცხვა გამოგვრჩა, რაც გამოსწორებადი ხარვეზია. რაც შეეხება ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციას, ეს უკვე ჩვენი აღარ არის, რადგან 2013 წლის პირველ ნახევარში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადავეცით. შესაბამისად, ეს შენობა მთავრობის კანცელარიის ბალანსზე აღვრიცხეთ არა ღირებულების სახით ფინანსურ მაჩვენებლებში, არამედ — კვადრატულ მეტრებში, ანუ ფართში. ასეთივე შენიშვნაა დაფიქსირებული ლეონიძის ქუჩაზე მდებარე შენობასთან მიმართებაში, რომელიც ეროვნული ბანკის შენობა იყო და მთავრობის კანცელარიას დროებით გადმოეცა, რადგან კანცელარიაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ამ შენობაში იყო განთავსებული ეკონომიკური საბჭო, უსაფრთხოების საბჭო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საჯარო სამსახურის ბიურო. ამ ფართთან დაკავშირებით შეფასება არ გაგვაჩნდა და არც მისი ღირებულება ვიცოდით. აუდიტორულ ანგარიშში ასახულია ჩვენი განმარტებაც, თუ რატომ არ იყო დაფიქსირებული ლეონიძის ქუჩაზე მდებარე შენობის ღირებულება — იმის გამო, რომ ეს შენობა დროებით სარგებლობაში გადმოგვეცა, საჭიროდ არ ჩავთვალეთ, ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები გაგვეწია, რათა მისი ღირებულება შეგვეფასებინა და როგორც ხედავთ, ესეც ტექნიკური ხასიათის ხარვეზია. კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც ჩვენს პერიოდს უკავშირდება, დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებებს ეხება. უფრო ზუსტად, ოთხ ორგანიზაციასა და სამ ფიზიკურ პირთან ანგარიშსწორება არ დასრულებულა, რაც ჯამში, 13 615 ლარის დავალიანებაა, რომელიც 2006 წლიდან წარმოიშვა. აუდიტორულ დასკვნაშივეა მითითებული, რომ ორი ფიზიკური პირის ადგილმდებარეობა დაუდგენელია, გარდა ამისა, ერთ-ერთ იურიდიულ პირთან მიმდინარეობს დავა, რომელიც ჩვენთან დაფიქსირებულ დავალიანებას არ ეთანხმება, მაგრამ შესაბამისი იურიდიული და საფინანსო პროცედურების შედეგად, ეს ხარვეზი გამოსწორდება. აუდიტორულ დასკვნაში მითითებული კიდევ ერთი დარღვევა 2014 წელს, Facebook-ის რეკლამაში დახარჯულ 15 000 ლარს ეხება, როდესაც დღგ-ს უკუდაბეგვრა არ განხორციელდა. ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტი ის არის, რომ საგადასახადო კოდექსით, ეს დაბეგვრა არარეზიდენტი პირის მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ მომსახურებას ეხება, ჩვენი შეხედულებით კი არ შეიძლება, Facebook საქართველოს ტერიტორიად ჩავთვალოთ, რადგან ეს ვირტუალური სივრცეა. მართალია, აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები ასე არ თვლიან, მაგრამ ესეც მარტივად გამოსწორებადი საკითხია, რადგან ამით ბიუჯეტს ზიანი არ მიდგომია. შესაბამისად, ჩვენს პერიოდში გამოვლენილი ხარვეზები ან უკვე გამოსწორდა, ან მალე გამოსწორდება.

— ძირითადი შენიშვნები, რა ნაწილშიც სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი მიადგა, მათ შორის, ავტოპარკინგის განახლებისა და ბენზინის შეძენის დროს, 2011-2012 წლებს ეხებოდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011-2012 წლებიც შეამოწმა?

— მთავრობის კანცელარიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2011, 2012, 2013 და 2014 წლების შესაბამისობის აუდიტი განახორციელა, რომელიც ოთხწლიან პერიოდს მოიცავს, რადგან ამ ხნის მანძილზე, ადმინისტრაციაში აუდიტი არ ჩატარებულა. ამ ოთხწლიანი პერიოდიდან, 2013-2014 წლებში, მხოლოდ ის შენიშვნები დაფიქსირდა, რაზეც უკვე გესაუბრეთ, მაგრამ 2011-2012 წლებში გამოვლენილი დარღვევების ძირითადი ნაწილი, აუდიტებისვე შეფასებით, შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს. ძალიან შემაშფოთებელია ის ტენდენცია, რაც იმ პერიოდში გამოიკვეთა, მათ შორის, საწვავის ხარჯთან და საჯარო მოხელეების პრემიებთან დაკავშირებით. ეს დარღვევები 2012 წლის ივლისიდან, 2012 წლის ოქტომბრის ჩათვლით დაფიქსირდა და რა თქმა უნდა, ლეგიტიმური ეჭვი ჩნდება, უკავშირდებოდა თუ არა წინასაარჩევნო პერიოდს. საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტებმა აღნიშნეს, რომ ეს დანახარჯი ნებისმიერ გონივრულ საზღვრებს აღემატებოდა. როგორც აუდიტის დასკვნაშივეა მითითებული, ზუსტად რომ დავიანგარიშოთ, რა მარკის ავტომანქანებით ხდებოდა საწვავის ხარჯვა, გამოდის, რომ შაბათ-კვირის ჩათვლით, კანცელარიის თანამშრომლები, დღეში 250-დან 350 კილომეტრს გადიოდნენ.

— აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ კანცელარიის ერთ-ერთ თანამშრომელს, 2012 წლის ივლისში 3 000 ლიტრი ბენზინი, ხოლო აგვისტოში 1 000 ლიტრი ბენზინი გამოუყვეს.

— დიახ, აუდიტის სამსახურმა საკმაოდ დეტალურად შეისწავლა ეს საკითხები. მაგალითად, 2012 წლის პირველ ექვს თვეში — 58 000 ლიტრი ბენზინი, ხოლო მომდევნო ექვს თვეში — 202 000 ლიტრი დახარჯეს, აქედან ივლის-ოქტომბერში — 196 000 ლიტრი. 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მხოლოდ 6 000 ლიტრამდე საწვავი დაიხარჯა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ საწვავის ხარჯვის მიზნობრიობა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, 2013 წლიდან, საწვავის კონსოლიდირებული შესყიდვა დავიწყეთ. მას შემდეგ, რაც კონსოლიდირებული ტენდერი გამოცხადდა და საწვავის საბარათე სისტემაზე გადავედით, ყველა ავტომანქანაზე შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობა დამონტაჟდა, რაც კონკრეტული ავტომობილის იდენტიფიცირების საშუალებას გვაძლევს. ჩვენს შემთხვევაში, საწვავით მომარაგება სრულიად გამჭვირვალეა, თითოეული მანქანის იდენტიფიცირება ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საწვავს მხოლოდ იმ მანქანაში ვასხამთ, რომლისთვისაც განკუთვნილია. წინა ხელისუფლების პირობებში, საწვავს ტალონებით არიგებდნენ, მანქანის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო და მარტივად შეიძლებოდა, საწვავი სხვა მანქანებისთვის გადაეცათ. შესაბამისად, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მთავრობის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილ ბენზინსა და დიზელს სხვა მიზნებისთვისაც იყენებდნენ.

— 2011-2012 წლებში, პრემიერ-მინისტრების ბრძანებებით, გუბერნატორებზე, რწმუნებულებზე, მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე დიდი ოდენობით პრემიები გაიცა. აუდიტის დასკვნას ავცდები, მაგრამ 2012 წლის შემდეგ, საკმაოდ მაღალი პრემიები ქართული ოცნების მთავრობის „აქილევსის ქუსლად“ იქცა, რის გამოც ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით, პრემიების გაცემის წესიც კი შეიცვალა.

— აუდიტის სამსახურის დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2011 წელს, მთავრობის ადმინისტრაციამ მიმდინარე ხარჯების მუხლიდან, 613 000 ლარი მიმართა პრემიებსა და ჯილდოებზე, ხოლო 2012 წელს — 125 000 ლარი.

დასასრული მე-4 გვერდზე

ელიზაბეთ ბუვე: „ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენება მნიშვნელოვანი და აუცილებელია“

მაკა ღოღობერიძე

თბილისში ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურ გამოყენებას სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საკონსულტაციო ჯგუფის „გლობალური ალიანსის“ ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებსა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის პრაქტიკოს ექიმებს ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალური გამოყენების ინსტრუქციები გააცნეს და სენფორდის ,,ანტიმიკრობული თერაპიის“ სახელმძღვანელოს 45-ე გამოცემის ქართული ვერსია საჩუქრად გადასცეს.

ღონისძიების ფარგლებში პრაქტიკოსი ექიმებისათვის გაცნობის მიზნით, ასევე გაიმართა პრეზენტაციები ანტიმიკრობულ თერაპიაზე ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და სენფორდის სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვის ინსტრუქციის შესახებ. პრეზენტაციები წარადგინეს უნივერსიტეტ პარიზი-7-ის სამედიცინო სკოლის პროფესორმა ელიზაბეთ ბუვემ, თემაზე: „ანტიბიოტიკებზე მეურვეობა: როგორ გავაუმჯობესოთ პრაქტიკოსი ექიმების მიერ ანტიბიოტიკების გამოყენება“ და პროფესორმა მალვინა ჯავახაძემ თემაზე: „რაციონალური ანტიმიკრობული თერაპია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში: სენფორდის ანტიმიკრობული თერაპიის სახელმძღვანელო და მისი გამოყენების ინსტრუქცია“.

ელიზაბეთ ბუვემ კონფერენციაში მონაწილეობა საკონსულტაციო ჯგუფის „გლობალური ალიანსის“ მოწვევითა და რეკომენდაციით მიიღო. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე განმარტავს, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, როდესაც ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი და პრაქტიკოსი პროფესორი ჩვენს ექიმებს გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევს.

კონფერენციაზე ფრანგმა პროფესორმა ისაუბრა, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყანაში ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენება, რა უნდა იცოდნენ პირველადი ჯანდაცვის რგოლის პრაქტიკოსმა ექიმებმა თუ, ზოგადად, საზოგადოებამ, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს განვითარებაზე: **„ანტიმიკრობული რეზისტენტობა მსოფლიო პრობლემაა, ამიტომაც ჩემი პრეზენტაციის ძირითადი თემაც სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა. დღეს პრაქტიკოს ექიმებს საჩუქრად გადაეცათ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო და ვისურვებდი, რეკომენდაციები, ჩვევები და გაიდლაინები, რაც განხილულია, აუცილებლად გამოიყენონ და დანერგონ პრაქტიკაში. ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენება მნიშვნელოვანი საკითხია. მხარს ვუჭერ საქართველოს მთავრობასა და ჯანდაცვის სამინისტროს ამ ინიციატივასა და წამოწყებას ქვეყნისთვის. ასეთი მხარდაჭერით, ამ სახელმძღვანელოსა თუ შესაბამისი პრაქტიკის დანერგვის გზით, სხვა კონკრეტული ქმედებებით, მიმაჩნია, მსოფლიოში ეს პრობლემა აუცილებლად აღმოიფხვრება. „გლობალური ალიანსი“ სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია ჯანდაცვის სამინისტროს სათანადო კონსულტაციები გაუწიოს ამ მიმართულებით“.**

პროფესორ მალვინა ჯავახაძის თქმით, რეზისტენტობა მას შემდეგ არსებობს, რაც ანტიბიოტიკი შეიქმნა, მაგრამ დღეს, რიგი პრობლემების გამო, ანტიბიოტიკების მიღება არ არის მომგებიანი ფარმაცევტული კომპანიებისთვის და ახალი ანტიბიოტიკების მიღების ტემპი მკვეთრად ჩამორჩება რეზისტენტობას: **„ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით, თუ ასეთი ტემპით გავაგრძელებთ, რამდენიმე წელიწადში მსუბუქი ინფექციაც განუკურნებელი და ადამიანისთვის მომაკვდინებელი იქნება, ამიტომ თუ ახლა გამოვიყენებთ ანტიბიოტიკებს ხშირად და არამიზანმიმართულად, ამით ჩვენს მომავალ თაობას პრაქტიკულად არსებობას შევუწყვეტთ. პირველად ჯანდაცვის სისტემაში შეძენილი ინფექციების შემთხვევაში, როდესაც პაციენტი არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, ამბულატორიის პირობებში როდესაც არ არის აუცილებელი, არჩევანი არ უნდა გაკეთდეს ანტიმიკრობულ საშუალებებზე. სწორედ, ამაზეა მსჯელობა და ამას ეძღვნება ის საერთაშორისო მსოფლიო კვირეული, რომელიც დაიწყება 16 ნოემბერს და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მოწოდებაა არამარტო ექიმებისადმი, ასევე პაციენტებისთვის, რომ ძალიან ხშირად უარი ვთქვათ ანტიბიოტიკებზე, საქართველოში მოსახლეობას წვდომა ანტიბიოტიკებზე რეცეპტის გარეშე არ აქვს. ეს ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია და, რა თქმა უნდა, ბევრ პრობლემას აგვაცილებს“.**

კონფერენციაზე ითქვა, რომ ანტიმიკრობული რეზისტენტობა 21-ე საუკუნის გლობალური გამოწვევაა, რომელმაც გადალახა ყოველგვარი საზღვრები, გავრცელდა ყველა კონტინენტზე და მიიღო პანდემიის სახე. სწორი, რაციონალური ანტიმიკრობული თერაპია ერთის მხრივ, მნიშვნელოვანი ინტერვენციაა ინფექციების სამკურნალოდ და, მეორეს მხრივ, მთავარ იარაღს წარმოადგენს ანტიბიოტიკების რეზისტენტობასთან ბრძოლაში. „გლობალ ალიანსი“ მხარს უჭერს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინიციატივას ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურად გამოყენების თაობაზე და მზად არის დაეხმარონ აღნიშნული სახელმძღვანელოს პრაქტიკულად გამოყენების საკითხებში.

დარღვევები, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამოავლინა

მე-3 გვერდიდან

აუდიტორები ამ მუხლით, ამ თანხის ხარჯვის აუცილებლობას არ ეთანხმებიან, რადგან პრემიებიცა და ჯილდოებიც შრომის ანაზღაურების ფონდიდან გაიცემა. გარდა ამისა, აუდიტორები ჯილდოების გაცემის ფაქტსაც არ ეთანხმებიან, რადგან ჯილდოს ფულადი ანაზღაურება კონკრეტულ სახელმწიფო ჯილდოს უნდა მოჰყვეს, ამ შემთხვევაში, ამ პირებმა თანხები ჯილდოების გარეშე მიიღეს, რაც დარღვევაა. თუმცა, აუდიტის სამსახურმა ძირითადი ყურადღება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობის ფონდზე გაამახვილა. ეს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტში ჯერ 10 მილიონი ლარით განისაზღვრა, შემდეგ კი 5 მილიონ ლარამდე შემცირდა. აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, რომ ბიუჯეტში განმარტებული არ იყო, რისთვის შეიქმნა ეს ფონდი, ან ვის უნდა გამოეყენებინა, ფინანსთა სამინისტროს თუ მთავრობის კანცელარიას. 2012 წლის ივნისიდან, 2012 წლის ოქტომბრამდე, პრემიებსა და ჯილდოებზე, ამ ფონდიდან 4 300 000 ლარი გასცეს. მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის კი არა, ამ ფონდიდან პრემიებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც, სხვადასხვა გამგეობების, თვითმმართველი ქალაქების მერიისა და საკრებულოების თანამშრომლებიც იღებდნენ. შეგახსენებთ, რომ ეს არის ხელისუფლების ორი სხვადასხვა შტო, პრემიერ-მინისტრი — აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ხოლო მერია და საკრებულო — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლების ერთმა შტომ პრემია გასცა მეორე შტოს თანამშრომლებზე. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, გაზისა და ნავთობის კორპორაციის თანამშრომლებზეც გაიცა პრემიები. საინტერესოა, რომ პრემიერ-მინისტრიც იწერდა პრემიებს, არადა 2012 წლის შემდეგ, არც ყოფილა და არც ამჟამინდელ პრემიერს სახელფასო დანამატი და პრემია არ აუღია. ამ ფონდიდან პრემიები და ჯილდოები მხოლოდ 2012 წლის 6 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში გაიცემოდა, რაც ასევე ბუნებრივად იწვევს ეჭვს, ხომ არ იყო დაკავშირებული ამ პრემიების გაცემა საარჩევნო პროცესებთან.

რაც შეეხება პრემიებსა და სახელფასო დანამატებს 2012 წლის შემდეგ, ისეთი პრობლემური ნამდვილად არ ყოფილა, რაც ამ ანგარიშშია ასახული. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მაღალი პრემიების მიღების რამდენიმე გახმაურებული ფაქტი დაფიქსირდა, გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ მთავრობას პრემიის გაცემის წესი განესაზღვრა. ამ წესის მიხედვით, პრემიის ზღვრული ოდენობა და მისი გაცემის სიხშირე დადგინდა, ისიც განისაზღვრა, რომ არ შეიძლება, თანამდებობის პირმა პრემია საკუთარ თავზე გასცეს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან შევა, რაც ცალსახად გულისხმობს, რომ ამ პერიოდში, უნდა მივიღოთ კანონი ხელფასების შესახებ, რომელიც საჯარო სამსახურებში ანაზღაურების გაცემას დაარეგულირებს. ამდენად, ჩვენ გაცილებით მაღალი სტანდარტი შევიმუშავეთ და შესაბამისად, ვერცერთ ოპონენტს ვერ დავეთანხმები, რომ 2012 წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პერიოდში, ისეთივე პრობლემა გვაქვს პრემიებთან დაკავშირებით, რაც წინა წლებში იყო და ეს აუდიტის ამ დასკვნაშიც გამოჩნდა.

— შესაძლოა, აუდიტის ეს დასკვნა თვალსაჩინოებისთვის კარგიც კი იყოს იმის მისახვედრად, რა დარღვევები იყო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით პრემიებისა და საწვავის ხარჯვის ნაწილში, მაგრამ 2011-2012 წლების დარღვევებზე ახლა ვინ აგებს პასუხს — ნიკა გილაური, ვანო მერაბიშვილი თუ ორივე ერთად?

— რაც შეეხება პასუხისმგებლობას, თითოეული თანამდებობის პირი პასუხს აგებს საკუთარ ქმედებებზე. შესაბამისად, თუ აუდიტორები აღნიშნავენ, რომ კონკრეტული საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს, დასკვნას შესაბამის ორგანოებს შესასწავლად გადაუგზავნიან. თუ რომელიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთება, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებიც გატარდება. ახლა ვერავინ გეტყვით, კონკრეტულად რომელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რადგან ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს პოლიტიკური შეფასების საგანიც კი იყოს. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების ეფექტიანობის ფონდი ბიუჯეტის შესახებ კანონში ასახული იყო, მაგრამ პოლიტიკური შეფასების საგანია, რამდენად სწორად იყო შექმნილი და გამოყენებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ფონდიდან კონკრეტულ, წინასაარჩევნო პერიოდში გასცემდნენ პრემიებს.

2011 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	**10,567,857**	**10,240,939**	**8,985,715**
ხარჯები, *მათ შორის:*	9,280,483	9,184,256	8,985,715
შრომის ანაზღაურება	*3,820,500*	*3,819,422*	*3,819,422*
საქონელი და მომსახურება	*4,739,883*	*4,700,174*	*4,529,245*
სოციალური უზრუნველყოფა	*75,000*	*28,893*	*28,893*
სხვა ხარჯები	*645,100*	*635,767*	*608,155*
არაფინანსური აქტივები	1,287,374	1,056,683	

2012 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	**30,571,145**	**29,432,024**	**12,367,804**
ხარჯები	13,199,070	12,237,761	12,367,804
შრომის ანაზღაურება	*5,071,900*	*4,794,512*	*4,794,512*
საქონელი და მომსახურება	*7,632,213*	*7,061,648*	*7,191,691*
სოციალური უზრუნველყოფა	*221,416*	*221,416*	*221,416*
სხვა ხარჯები	*273,542*	*160,185*	*160,185*
არაფინანსური აქტივები	17,372,075	17,194,263	

2013 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	**12,358,113**	**11,136,679**	**10,260,298**
ხარჯები	11,638,113	10,504,119	10,260,298
შრომის ანაზღაურება	*4,920,500*	*4,502,926*	*4,502,926*
საქონელი და მომსახურება	*6,504,973*	*5,950,919*	*5,707,272*
სოციალური უზრუნველყოფა	*62,640*	*40,323*	*40,323*
სხვა ხარჯები	*150,000*	*9,950*	*9,950*
არაფინანსური აქტივები	720,000	632,560	

2014 წელი - საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
სულ	**33,069,476**	**30,372,655**	**25,809,276**
ხარჯები 26,501,675.71	26,501,676	25,071,704	25,809,276
შრომის ანაზღაურება 6,950,825.00	*6,950,825*	*6,676,489*	*6,676,489*
საქონელი და მომსახურება 19,276,727.71	*19,276,728*	*18,315,976*	*18,226,811*
სოციალური უზრუნველყოფა 120,123.00	*120,123*	*52,197*	*51,794*
სხვა ხარჯები 154,000.00	*154,000*	*27,041*	*27,041*
არაფინანსური აქტივები 6,567,800.00	6,567,800	5,300,951	

სკანდალური ინტერვიუ კობა ხაბაზთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„თავისუფალი ზონის“ ლიდერს, სამ რევოლუციაგამოვლილ და აქედან ორის უშუალო მონაწილე კობა ხაბაზს „რუსთავი 2“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მისი ორგანიზაციის კარავთან შევხვდით. კარავი ნაციონალებსაც აქვთ დაცემული, ეზოსთან კი „აფხაზთა კრების“, „პატრიოტთა ლიგის“, „ედიტორისა“ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები 24-საათიან რეჟიმში მორიგეობენ. ყოფილი დეპუტატის განცხადებებმა მოლოდინს გადააჭარბა — კობა ხაბაზი „ჩანაწერების ომზე“, მოდულში მიცემული ჩვენების დეტალებზე, ბიძინა ივანიშვილის ბრძანებაზე, ნინო ბურჯანაძეზე, რაფალიანცისა და კიწმარიშვილის საქმეებზე და „რუსთავი 2“-ის ეზოსთან შეკრებილი ადამიანების გეგმებზე ღიად საუბრობს.

— შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ბრძოლის ველზე ვართ — კარვები, მობილიზებული ჯგუფები. რა საჭიროა ამხელა გამაგრება, რისთვის ემზადებით?

— რა თქმა უნდა, საჭიროა, რადგან საქმე გვაქვს შუშის კოლბაში გამოკეტილ პინგვინთმბრძანებელთან, რომელიც ძალიან ექსცენტრულია. შეიძლება, ხალხი დაიბაროს და ფეხი დააბაკუნოს — არ მაინტერესებს, შედით „რუსთავი 2“-შიო. ერთი მხრივ, აქ „რუსთავი 2“-ის კოლექტივის გასამხნევებლად ვართ, მეორე მხრივ კი თავისუფალი სიტყვის დასაცავად. მარტივი არჩევანის წინაშე ვართ — საქართველოს ან ექნება მომავალი, ან არა.

— საქართველოს მომავალი „რუსთავი 2“-ზე გადის?

— არა, „რუსთავი 2“-ის დაცვით, სიტყვის თავისუფლებას ვიცავთ, რაზეც მართლა გადის საქართველოს მომავალი. ამ არხის დადუმება კი ნიშნავს, რომ ეს თავისუფალი სიტყვა უამრავ ადამიანს აღარ მისწვდება და ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის თქმა მედიასივრცეში შეუძლებელი გახდება. არ შეიძლება, „რუსთავი 2“-ს ოპოზიციური მხოლოდ ამიტომ ვეძახოთ. ესაა თავისუფალი სიტყვა, რომ ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა შეგიძლია.

— ამ თავისუფალ სიტყვაზე თქვენი თავისუფლებაც გადის. თქვენც დაიკითხეთ ხელისუფლების დამხობის მუხლით, ჩანაწერებით გავრცელებული სააკაშვილის ფრაზის გამო, ხალხს კობა მოიყვანსო. დღეს თქვენც ქვეყნის ღალატი გბრალდებათ, როგორც ამას წლების წინ აბრალებდით ოპოზიციას...

— ჯერ ერთი, ეს იყო ივანიშვილის მხრიდან ფეხის მორიგი დაბაკუნება. პარადოქსია, რომ, როცა მოქმედმა შს მინისტრმა, ჭიკაიძემ დაგვაბრალა ორი, „ბორბლებისა“ და „სასწრაფოების“ სქემით გადატრიალების მცდელობა, ამ თემაზე არც კი დაუკითხივართ. სამაგიეროდ, დავიკითხეთ საიტზე გავრცელებული უკანონო აუდიოჩანაწერების გამო. ეს კი ივანიშვილის ფეხის დაბაკუნების სიძლიერის შედეგია — ამჯერად, მოისურვა, საქმის წარმოება დაწყებულიყო. იციან, ბრალს ვერ წაგვიყენებენ, მაგრამ ახლა მათი მთავარი ამოცანა იყო, დაკითხვაზე დავებარებინეთ და მოდულთან მივეყვანეთ.

— მოდულთან მხიარულ განწყობაზე ჩანდით, გვირაბის გათხრის გეგმაზე საუბრობდით. მიამბეთ, როგორ თხრით გვირაბს თბილისიდან ოდესამდე და რას გეგმავთ სააკაშვილთან ერთად?

— ხალხი მყავს დაქირავებული, ვთხრი გვირაბს და დაკითხვაზე უკვე ისიც აღვნიშნე, რომ პატარა პრობლემა შეგვექმნა, როცა შავი ზღვის ქვეშ გავდიოდით. გვირაბში წყალმა ჩამოჟონა, ახლა გამაგრებით სამუშაოებს ვაწარმოებთ. ამ საქმეში კი დაფინანსება ბილ გეითსისგან, ცუკერბერგისგან მივიღეთ და ეს ფინანსური ოპერაციები მორგან-ბანკის მეშვეობით განვახორციელეთ.

— და ეს იყო თქვენი ჩვენება?

— დიახ და გამომძიებელს გულწრფელად ვუთხარი, რომ ნებისმიერი სახელმწიფო სამართალდამცავების გამართულ მუშაობაზე დგას, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში. ვადასტურებ ჩემს პატივისცემას მათ მიმართ, მაგრამ ეს ის შემთხვევა არაა, როცა შემიძლია, სერიოზულად გიპასუხოთ-მეთქი. თუმცა კითხვებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ დავაკონკრეტებ. ფაქტია, უკანონო ჩანაწერების გამო დამკითხეს.

— კანონიერია თუ უკანონო, ყალბი არ არის და საკმაოდ მძიმე გეგმების შესახებაც გვესმის — თითქოს, გსურთ, პროცესი გამწვავდეს და ჩიხში შევიდეს.

— აი, სწორედ ეს იყო კლასიკური კაგებეშნიკური მეთოდი. ყველაზე მძიმე სწორედ ის დიალოგი იყო, რომლის აუდიოჩანაწერი არც არსებობს და არც დადებულა. იქ იყო საუბარი სისხლისღვრასა და ვიღაც ქალზე, რომელიც ამ პროცესს უნდა შეეწიროს. ხალხის თავში კი ეს დაილექა და როცა სხვა აუდიოჩანაწერები დაიდო, ეს მძიმე დიალოგიც სიმართლე ეგონათ.

— ასე შემოგიტრიალდათ ჩანაწერებით ოპოზიციის შანტაჟის მეთოდი. თუნდაც 2012 წელი გაიხსენეთ, როცა „ოცნების“ წევრების ჩანაწერები გავრცელდა, ამას „ცოცხების“ კადრები მოჰყვა და ასე ვტრიალებთ „ჩანაწერების ომში“. ეს ნორმალური მეთოდია?

— გუბაზის მილიონებიცა და სხვა ლიდერების საუბრების ჩაწერაცა და გამოქვეყნებაც ჩვენი დიდი შეცდომა იყო. მაშინაც ასე ვფიქრობდი. თუმცა სწორი იყო ნინო ბურჯანიძისა და მისი ქმარშვილის ჩანაწერების დადება. საერთოდ, „პალკონნაია გარაზე“ მდგომი ბურჯანაძის მიმართ სტანდარტული კანონები კი არა, სამოქალაქო მიუღებლობა უნდა მოქმედებდეს. მაღაზიაში არ უნდა მოემსახურონ, სილამაზის სალონში თმა ნულზე უნდა გადაპარსონ, სახლში ხელოსანმა რემონტი არ უნდა გაუკეთოს, ქუჩაში გამარჯობა არ უნდა უთხრან, ჟურნალისტებმა ინტერვიუ არ უნდა აიღონ და ყველამ ზურგი უნდა აქციოს, რათა მეორედ სხვას არ გაუჩნდეს მოსკოვში წასვლისა და პუტინთან დგომის სურვილი. ამიტომ, სულ სხვაა მის წინააღმდეგ დადებული ჩანაწერები და ჩვენი შემთხვევა. გამოძიებას პირდაპირ ვუთხარი, სხვა დროს ნუ იწვალებთ, ნუ ჩაიწერთ, შექმნით საიტებს, ნუ ატვირთავთ საუბრებს და მერე ამის საფუძველზე ნუ დაიწყებთ გამოძიებას, პირდაპირ დაგვიჭირეთ, რადგან შევარდნაძის, აბაშიძის... უკაცრავად, ივანიშვილის სამარცხვინო რეჟიმს მაინც შევებრძოლებით-მეთქი.

— ივანიშვილი შევარდნაძესა და აბაშიძეში გეშლებათ?

— შემთხვევით მომივიდა, თუმცა ის უარეს ფენომენად მიმაჩნია. დიახ, ვიქნები მის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ სამარცხვინო რეჟიმის მოსაცილებლად. ჩემი დაბარება საერთოდ სასაცილო იყო — სააკაშვილმა ახსენა, კობა მოიყვანს ხალხსო. დიახაც, მოვიყვან ხალხს, მერე რა მოხდა?

— რა და 2012 წლის მერე, რატომღაც, თქვენი ყველა აქცია დაპირისპირებით სრულდება, მუდმივად დაძაბულობის ცენტრში ხართ და „ზონდერორგანიზაციად“ იქეცით. ასე რატომ ხდება?

— ეს სრულიად მიზანმიმართულად კეთდება, ჩვენი დისკრედიტებისთვის. ჩვენ ვართ ძალა, რომელიც ყველაზე მკვეთრად უპირისპირდება პუტინისა და პროპუტინისტების მოძრაობას. ამის გახსენება არავის უნდა, არადა, პირველად, ჩვენი წევრი დათო გოგოხია პუტინის გინებისთვის დააკავეს. დაჭერების მეორე სერია სტადიონზე მოხდა, როცა საქართველოში გრუ-ს ოფიციალური ხელმძღვანელობა ჩამოვიდა და ეს გავაპროტესტეთ. სულ „თავისუფალი ზონის“ 45 წევრია დაკავებული და ჩვენს წინააღმდეგ 120-ზე მეტი სასამართლო სხდომაა გამართული. აქედან ყველა შემთხვევა, 10-15-ის გარდა, ანტირუსულ და ანტისაოკუპაციო თემებს ეხებოდა, „პლაკატების“ გაკვრიდან დაწყებული, ვიზიტების გაპროტესტებით დასრულებული. აი, ამ ველის მოსუფთავება სურთ და ამიტომ გვაბრალებენ ყველაფერს. ფაქტია, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია ვართ, 1 300-ზე მეტი წევრი გვყავს საქართველოს მასშტაბით და დიახ, პირდაპირ ვამბობ, რომ ფიზიკურადაც მზად ვართ ყველაფრისთვის. ხელისუფლებას ვაფრთხილებ, თუ შეეცდებიან შეჭრას, მინიმუმ, აქ შეკრებილთა დარბევა და დაჭერა მოუწევთ.

— არ მესმის, საიდან მოიტანეთ, რომ ვინმე „რუსთავი 2“-ში შეჭრას აპირებს. ნაციონალების დრო და 2007 წელი გგონიათ?

— ცუდი შედარებაა, რადგან 2007 წელს სულ სხვა მოცემულობა იყო. მაშინ „იმედის“ ეთერიდან პირდაპირი მოწოდებები გვესმოდა, ხელისუფლების გადატრიალებაზე. როცა ტელევიზია პირდაპირ მოგიწოდებს ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლისკენ, არჩევანი არ გრჩება. ჩვენ რომ ეს ნაბიჯები არ გადაგვედგა, მეორე დღეს მართლა შტურმი შეიძლება მოეწყოთ. გაითვალისწინეთ, მაშინ ვინ იდგა ამ ტელევიზიის უკან. ის სულ სხვა ვითარება იყო. ახლა სწორედ აქ გადის თავისუფალი სიტყვის წითელი ხაზი. მას მერე, რაც ვნახე, როგორ ჩაუგდეს ერთ-ერთი დაპირისპირების დროს ჩვენი აქტივისტი, ფარნაოზ ჭკადუა ჩვენს მოწინააღმდეგეებსა და ოფისის დამრბევებს ხელებშეკრული, სხვა რა ვთქვა, გარდა იმისა, რომ დღეს მე სამართალდამცავი ორგანოების იმედი არ მაქვს! ახლა მართლა საკონსტიტუციო გადატრიალების ზღვარზე ვართ, ოღონდ ხელისუფლების მხრიდან — ეს არის სახელმწიფო გადატრიალება „რუსთავი 2“-ის ირგვლივ.

— ყველაფერი ასეც რომ იყოს, გგონიათ, შეეწინააღმდეგებით?

— არ გვაქვს იმედი, რომ სამართალდამცავები გამოვლენ და ხელისუფლებას დაუპირისპირდებიან. ეს არც გვინდა, რადგან სწორედ ესაა რევოლუციური სცენარი. იმის იმედი გვაქვს, რომ ისინი არ შეასრულებენ ბრძანებას და არ დაგვარბევენ.

— აშკარად არ გასცემენ ამ ბრძანებას. რის გაკეთებას აპირებთ, რომ ხელისუფლებას ეს ბრძანება გამოსტყუოთ?

— ივანიშვილის საუბრის შემდეგ, ორიოდ დღის წინ, ვერ მიხვდით, რომ დიდი ალბათობით, მან ბრძანება გასცა და შემსრულებელი არ ჰყავს?

— მართლა ასე ფიქრობთ?

— ხელისუფლებას ჩვენი დარბევის ბრძანება გაცემული აქვს, მაგრამ არ ჰყავს მისი შემსრულებელი. რომ ჰყავდეს, ბევრ სამარცხვინო ორგანიზაციას, რომელიც შექმნეს, არ წაახალისებდნენ და არც სადღობელაშვილები დასჭირდებოდათ.

— გეკითხებით, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ წევრს, 90-იანი წლების პროცესების მონაწილეს — დღეს რაც ხდება, საზოგადოების ორად დაყოფისა და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს არ ქმნის?

— სამოქალაქო დაპირისპირება ხდება მაშინ, როცა საზოგადოებაა ორად გაყოფილი. დღეს ეს ვითარება არ არის — ეს ორად გახლეჩილი ხალხის კი არა, ორი პოლიტიკური ძალის, „ოცნებისა“ და ნაციონალების დაპირისპირებაა, რაც ხალხის დაპირისპირებას ვერ გამოიწვევს. „ოცნების“ მომხრეები უბრალო ხალხში აღარ დარჩა. ახლა ხელისუფლების მხარეს მხოლოდ მის მიერ დასაქმებულები, ნათესავები, ამნისტიით გათავისუფლებულები და ადმინისტრაციული რესურსია. მათ მომხრეებს ვერ ნახავთ, ბერასთვის შვილის გამჩენი გოგოებიდან დაწყებული, ბიძინას მუხლებისა და სასქესო ორგანოების დამკოცნელი ქალებით დასრულებული. ალბათ, ეს ვიდეოებიც ყველას ნანახი ექნება. ორი, „ვარდებისა“ და „აჭარის რევოლუციის“ უშუალო მონაწილე ვარ და გარწმუნებთ, ორივე ჯერზე მიჯნაზე გავიარეთ, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ახლაც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, არჩევნებამდე მივიდეთ და ამ ხელისუფლებას არჩევნების გზით მოვუგოთ, მაგრამ დღეს თუ აქ ვინმე ცეცხლს გაგვიხსნის, ჩვენი ბრალი არ იქნება. დამიჯერეთ, ცუდად იცნობთ ივანიშვილს.

— თქვენ კარგად იცნობთ?

— ივანიშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ დავა „რუსთავი 2“-სა და ქიბარ ხალვაშს შორის მიდის? ჩვენ ნუ გვეკითხებით, არის თუ არა ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე. თუ არ ვცდები, რკინის ბარიკადებზეც იყო იმ ჩანაწერებში საუბარი. სხვათა შორის, ბარიკადებს თავდამსხმელი კი არა, ის აშენებს, ვინც თავს იცავს. ჩვენ კი სიტყვის თავისუფლებას ვიცავთ და თუ საჭირო გახდება, ბარიკადებსაც ავაშენებთ. აქ ბოლომდე ვიდგებით და თუ ვინმე მოვა, რომ შენობაში შევიდეს, ფიზიკურად წინ გადავუდგებით.

— სასამართლოს გადაწყვეტილების არშესრულება და დაუმორჩილებლობა კანონდარღვევა არაა?

— არა, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს უკანონო გადაწყვეტილებაა. ჩვენ ვიცავთ კანონს, ვფიქრობთ, სასამართლომ ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღო და ვინც სხვანაირად ფიქრობს, ამ შემთხვევაში, შეუძლიათ, დაგვარბიონ.

— თქვენც ეგ გინდათ — გინდათ, რომ დაგარბიონ?

— არა, ღმერთმა დამიფაროს, დარბევა მინდოდეს. მაზოხისტი ხომ არ ვარ. ცხოვრებაში არ მდომებია, ვინმეს ვეცემე, მაგრამ თუ ასე მოხდა და შემოსვლა დააპირეს, წინ გადავუდგებით და ვეტყვით: ჩვენ არ გიშვებთ და მოდით, დაგვიჭირეთო!

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე დასკვნა პრეზიდენტს დეკემბრის პირველ რიცხვებში წარედგინება

მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დასკვნა საქართველოს პრეზიდენტს დეკემბრის პირველ რიცხვებში წარედგინება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რა ეტაპზეა მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით პროცედურები.

როგორც იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს წერილი რამდენიმე დღის წინ ოდესაში ჩაბარდა: **„აქედან აითვლება ოთხკვირიანი ვადა, რომ მან, როგორც ეს ქართული კანონითაა დადგენილი, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია წარმოადგინოს. დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩვენ უკვე შეწყვეტის შესახებ დასკვნას წარვუდგენთ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას“.**

კითხვაზე, მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ რა პროცედურებია პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ პარტიები თვითონ წყვეტენ, ვინ იყოს წევრი, მაგრამ **„არის პირობები, რომელსაც პარტიის ხელმძღვანელი, თუ პარტიული მუშაკი უნდა აკმაყოფილებდეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ზოოფილის „სასამართლო“ ზონაზე

რა „განაჩენი“ გამოუცანეს თხის გაუპატიურებისთვის „მაყურებლებმა“ მეგრელ პატიმარს

პატიმარი №0578

პატიმრები, რომლებიც სასჯელს ადამიანის გაუპატიურების მუხლით იხდიან, „საქათმეში“ ხვდებიან — ეს ერთგვარი დაუწერელი კანონია. არიან ისეთი პატიმრებიც, რომელთა „მსხვერპლი“, არცთუ იშვიათად, ცხოველია. ცხოველის გაუპატიურებისთვის ციხეში რომ მოხვდე, მისმა პატრონმა უნდა გიჩივლოს, რაც ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. და რა განაჩენი გამოაქვს ამ დროს მაყურებლების სასამართლოს, საინტერესო სწორედ ესაა.

„ვიცი, რომ საქმე არ გაკლია და ბევრი საფიქრალიც გაქვს, მაგრამ, როგორც მითხრეს, ახლა ახალი პატიმრების „პატოკია“ მოყვანილი, კარანტინში არიან და დღეს-ხვალ ამოწევენ. ერთ-ერთი გაუპატიურებაზე ზის და შენთან შეხვედრას ითხოვს. თან ამბობს, შეხვედრაზე კახეთის რეგიონის მაყურებელიც უნდა იყოსო“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ზონის მაყურებელს ესაუბრებოდა.

„და რად მინდა „საქათმის“ „პასაჟირთან“ შეხვედრა, ან კახეთის რეგიონის მაყურებელი რა შუაშია? გაუპატიურებაზე თუ არის, პირდაპირ „საქათმეში“, — მოკლედ მოჭრა მაყურებელმა.

„გაუპატიურებაზე კი არის, არც უარყოფს ამას, მაგრამ... თხა გააუპატიურა და თხის პატრონმა უჩივლა. სამეგრელოში მოხდა ეს ამბავი. თხის პატრონი გოროზიას ახლობელი თუ ნათესავია და გამოუშვეს ბიჭი „სროკზე“, — გაეცინა №0578-ს.

„თხაა? და მე რა უნდა ვქნა? მაგაზე ვაბშე რა ხდება? „საქათმე“ ეკუთვნის?“, — გაოგნებულმა მაყურებელმა იქ მყოფ რეგიონის მაყურებლებს მიმართა. მათ ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე მხრები აიჩეჩეს და №0578-ს მიაშტერდნენ, რომელიც უკვე მოურიდებლად იცინოდა.

„ან რაღაცას გვიმალავ, ან გვეკაიფები“, — უთხრა ზონის მაყურებელმა.

„არაფერს გიმალავ და არც გეკაიფები. მნიშვნელოვანი მომენტი გამოგრჩა — კახეთის რეგიონის მაყურებლის დასწრებას რატომ ითხოვს შენი აზრით?!“ — თვალები მოჭუტა №0578-მა.

„რატომ?!“ — კითხვა შეუბრუნა ზონის ნომერპირველმა პატიმარმა.

„იმიტომ, რომ იმას ვირის თემას ამოუგდებს და პარალელს გაავლებს. ვირთან სექსი თუ შეიძლება, თხამ რა დააშავაო“, — სიცილს ვერ იკავებდა №0578.

„რა გაცინებს? კახეთის რეგიონის მაყურებელს დაუძახე, გავგიჟდი კაცი“, — მაყურებელი აშკარად დაბნეული ჩანდა. №0578 კამერიდან გავიდა და ცოტა ხანში კახეთის რეგიონის მაყურებელი შემოიყვანა.

„გიო, რა ვირი? ვირი რა შუაშია? ეგ კაი ბიჭების თემაში არ მოდის, მასე ნახევარ კახეთს ვირი ჰყავს ნახმარი... დარწმუნებული ვარ ქურდებსაც თავის დროზე და... რა პონტში აღვიძებ მაგ ბაზარს?!“ — პირი დააღო კახეთის რეგიონის მაყურებელმა.

№0578 ამ ქვეყნის აღარ იყო, ნარზე გაკოტრიალდა და ბოლო ხმაზე ხარხარებდა. ზონის ბლატატა გამხიარულებულ პატიმარს გაოცებული უყურებდა.

„ამას რა ენაღვლება? ქურდები მოსთხოვენ „სპროსს“ თუ რა? ჩვენ ვიკითხოთ, თორემ...“ — ჩუმად თქვა ერთ-ერთმა „კაიბიჭმა“.

№0578 უცებ დასერიოზულდა, კამერას თვალი მოავლო და სწორედ იმ „კაი ბიჭს“ მიუბრუნდა: „რა თქვი ბიჭო, ვინ მომთხოვს „სპროსსო“? ქურდებიო?! ამას რა ენაღვლებაო? ცოცხალი ქურდი თუ გყავს ნანახი, შე უბედურო, რომ იძახი ქურდობა მინდაო?! რომ წამოჭიმულხარ აქ და გონზე არ ხარ რა ხდება, იბიომატ...“

„კაიბიჭი“ ამას აშკარად არ ელოდა. მან ჯერ კამერას მოავლო თვალი, მერე მაყურებელს მიმართა, უთხარით რამეო.

„მე რა უნდა ვუთხრა? ფეხის ნასოსივით გაკაჩავა და შენ უპასუხე. და საერთოდ, მოიფიქრეთ რამე, ხვალ რა ვუთხრათ იმ თხის საქმროს, თორემ გადავირიე. ქურდებთან ხომ არ დავრეკავ მაგის გამო, კაცი მოჰყავთ, თხა ჰყავს ნახმარი და რა ვუყო-მეთქი“, — აშკარად წუხდა მაყურებელი.

„უნდა გავიკითხოთ, კიდევ ვინმეს ხომ არ ჰყავს რაიმე ცხოველი ნახმარი და მერე ზოგადი სტატისტიკა ვაწარმოოთ. მევირეები ცალკე, თხის მოყვარულები ცალკე, „საქათმე“ ისედაც ცალკე გვაქვს, ვიღაცას შეიძლება ძროხა მოსწონს, რაც უნდა იყოს, ოთხი ძუძუ აქვს, იქეთ ძაღლები, კატები... მოკლედ, ცხოველების ფერმა გავაკეთოთ და ერთი ჯორჯ ორუელი როგორ არ გამოჩნდება, რამე დაწეროს“, — №0578 ბოლო ხმაზე იცინოდა.

„რა ორეული, ვინ არის?!“ — დაიბნა მაყურებელი.

„ორეული არა, ორუელი, „ცხოველების ფერმა“ დაწერა“, — დასერიოზულდა №0578.

„და ციხის პონტზე უწერია?!“ — თვალები გაუბრწყინდა მაყურებელს.

„აუუ... ქურდებს რომ დაურეკავთ, მალაპარაკეთ, უნარჩვევებიც უნდა ჩაგაბარებინოთ, თორემ მარტო ქურდულით შორს ვერ წავალთ“, — შეწუხდა №0578.

„კარგი, მოვრჩით ღადაობას, რა ვქნათ?!“ — ხმაში სიმკაცრე გაურია მაყურებელმა.

„გაგიჟდით? რა უნდა ვქნათ? ამოვიდეს ის კაცი, მოვაყოლოთ რა და როგორ იყო, ცოტას გავხალისდებით, ვიღადაოთ და ვიცინოთ“, — ახლა №0578 გაცხარდა.

„კარგი, დღეს დავიცადოთ, ხვალ ვნახოთ რა იქნება“, — თქვა მაყურებელმა.

მეორე დღეს კამერაში უსაშველოდ მაღალი ბიჭი შემოიყვანეს. დაბნეული აცეცებდა თვალებს. შემოსვლისთანავე იკითხა, კახეთის რეგიონის მაყურებელი თუ არისო. კახელი გაცხარდა, მე რა შუაში ვარო, მაგრამ ზონის მაყურებელმა გააჩერა და ახლადმოსულს უთხრა, დაიწყეო. მანაც თავი ჩაღუნა და დადუმდა.

„მომისმინე ძმა. აქ შენი მტრები არ ვართ. დეტალები გვაინტერესებს. უნდა ვიცოდეთ, რა როგორ იყო. კახეთის რეგიონის მაყურებელიც აქ არის და თუ რამეა, „დაგიპადდერჭკებს“. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი არცერთი ვართ და თამამად მოყევი“, — გაამხნევა №0578-მა.

„მეზობელს ვეხმარებოდი სიმინდის თოხნაში. მოხუცი ქალია. მოვრიგდით, თუ ორჯერ გავუთოხნიდი, ორ მეშოკ სიმინდს მომცემდა. შევთანხმდით და დავდიოდი სათოხარში. თხა ჰყავდა ერთი და მატანდა, იქვე დააბი, შეჭამს რამესო. არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა ერთ დღეს, თხა გვერდით მომიწვა, თამაში დავუწყე, ხან რქებზე, ხან მუცელზე ვფხანდი, შევყევი და... არ ვიცი როგორ ვთქვა, მართლა არ ვიცი. ძველებისგან მქონდა გაგებული, თხებს ხმარობდნენო ადრე და...“

„და შენც იფიქრე, ტრადიციებს გავაგრძელებ, როგორც ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, რა არის ამაში გაუგებარი?!“ — თავი ვერ შეიკავა №0578-მა, მაგრამ მაყურებელმა მკაცრად გახედა და ისიც გაჩუმდა.

„მერე ამ ქალს არ ვიცი, ვინ უთხრა და ჩუმად გამომყვა. საქმის დროს წამადგა თავზე. შეყარა მთელი სოფელი. გაჰკიოდა, ვინ იყიდის ახლა ჩემს თხას, ყველამ იცის, რომ იხმარეო. მიჩივლა და დამაკავეს. ვაღიარე. იმ თხას მე ვიყიდი, რა ფასსაც დაადებს-თქო, მაგრამ დიდი კაცის ნათესავია ის ქალი და გამომიშვეს აქეთ“, — დაასრულა მოყოლა მაღალმა და მაყურებლებმა ერთმანეთს გახედეს.

„თუ შეიძლება, კითხვები დავსვა?“ — ისეთი ხმით იკითხა №0578-მა, უარის თქმა არ გამოდიოდა: „მაინტერესებს, ეგ თხა ადრეც გყავდა შემჩნეული თუ იქ მოგეწონა, ყანაში... რა ფერის არის?“.

„არა, ყანაში... მანამდე სად უნდა შემემჩნია. თეთრია, მოყვითალოში გადადის“, — უპასუხა მაღალმა.

„აჰა... გამოდის, ქერათმიანები მოგწონს. დაგერხა ძმა, ორ ძუძუზე მეტი თხასაც არ აქვს და ქერა თმა კიდევ შენ რომ გაქვს, ისეთი უნდა“, — მიუბრუნდა №0578 რუსთავის რეგიონის მაყურებელს და ხარხარი ატეხა. ყველას გაეცინა ახლის გარდა, იმიტომ, რომ ჯერ არ იცოდა, სასაცილოდ ჰქონდა თუ არა საქმე. ამ დროს მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა — „იცი, რა მაინტერესებს? ამ სიმაღლე რომ ხარ, როგორ წვდებოდი თხას? დაწოლით ვერ დააწვენდი, არ გაგიჩერდებოდა, ყანაში შემაღლებული ადგილიც არ იქნებოდა, როგორ მიუდექი?“ — იკითხა კახეთის რეგიონის მაყურებელმა და უკვე ყველაფერი ერთმანეთში აირია — სიცილი, ხარხარი, შეძახილები...

„ახალ პოზას ამუღამებ შეჩემა?!“ — გაოგნდა ზონის მაყურებელი და ყველა დამეკარგეთ აქედანო, იყვირა.

საბოლოო ვერდიქტი მძიმე არ აღმოჩნდა — თხის გამაუპატიურებელი არც „საქათმეში“ გაუშვეს და არც „კაზლიატნიკში“, მან სასჯელი საკანში მოიხადა.

ვერსიანიუსი

რუსთავში თაღლითობის მცდელობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ადვოკატი, 1984 წელს დაბადებული მიხეილ მ. და 1973 წელს დაბადებული მოქალაქე, წარსულში ნასამართლევი შახვალად ხ. თაღლითობის მცდელობის ბრალდებით, რუსთავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ადვოკატი მიხეილ მ, თანამზრახველ შახვალად ხ-სთან ერთად, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მამას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე მაგამედ მირზა მ-ს მსჯავრდებული შვილის ციხიდან გათავისუფლებას დაპირდა, სანაცვლოდ კი 60 ათასი აშშ დოლარი მოსთხოვა. მიხეილ მ-მ თაღლითური სქემა შახვალად ხ-სთან ერთად შეიმუშავა და მსჯავრდებულის მამასთან მოლაპარაკებებს მისი დახმარებით აწარმოებდა.

სამართალდამცველებმა მიხეილ მ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ის თაღლითური გზით მიღებული დიდი ოდენობით თანხით, საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა. პოლიციამ დაკავებულის ავტომანქანის სალონიდან 60 ათასი აშშ დოლარი ნივთმტკიცებად ამოიღო. სამართალდამცველებმა შახვალად ხ. თანამზრახველის — მიხეილ მ-ს ბინაში დააკავეს.

გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის საბერძნეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საბერძნეთის მოქალაქეები, მამა-შვილი — 1989 წელს დაბადებული ალეკო ჟ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ხოლო 1964 წელს დაბადებული მამუკა ჟ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ალეკო ჟ-ს პირადი ჩხრეკისას 0,00061 გრ ჰეროინი და 0,0050 გრ ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი აბის 4 ნატეხი, ხოლო მამუკა ჟ-ს კუთვნილი ველოსიპედის კორპუსიდან 0,6724 გრ ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი 141 აბი და 23 ნატეხი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მამუკა ჟ-მ ნარკოტიკი საბერძნეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა.

ნარკოლოგიური შემოწმებით ალეკო ჟ-ს ბუპრენორფინის და ტეტრაჰიდროკანაბინოლის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება ალეკო ჟ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ხოლო მამუკა ჟ-ს მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

რატომ იძია შური მაია ფანჯიკიძემ 20 ქვეყნის საპატიო კონსულზე



ზაზა ბროძელი

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, მაია ფანჯიკიძე ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებს და ურჩევს, გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებზე ფრთხილად ისაუბროს, რამეთუ ეს ქვეყნის საგარეო იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს, თუმცა ყოფილი პირველი დიპლომატი ერთ ნიუანსს არ ითვალისწინებს და შესაძლოა, არც ახსოვს, რომ იმ დროს, როცა ქვეყნის საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა, საქართველო სერიოზულ, საერთაშორისო სკანდალში გახვია. მაინც, რა ჩაიდინა მაია ფანჯიკიძემ? რა და, 2014 წლის აგვისტოში, საქართველოს 20 მეგობარი ქვეყნის საპატიო კონსულს, ყოველგვარი კონსულტაციისა და გაფრთხილების გარეშე, დიპლომატიური პრივილეგიები გაუუქმა, რაც ნიშნავს, რომ ამ „რეფორმის“ შედეგად, საპატიო კონსულები მათზე დაკისრებულ მოვალეობას სრულყოფილად ვეღარ ასრულებენ — ვერ ამყარებენ კომუნიკაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დიპკორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ვერ სარგებლობენ დიპლომატიური ფოსტით, საჭიროების შემთხვევაში, თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს ვერ ეხმარებიან, ვერ იღებენ და ვერ აწვდიან ინფორმაციას და ა.შ. რაც წარმგზავნი სახელმწიფოებისთვის სრულიად გაუგებარია. ამასთან, დაირღვა თანაფარდობის პრინციპიც, ანუ სხვა ქვეყნებში საქართველოს საპატიო კონსულები დიპლომატიური პრივილეგიით ისევ სარგებლობენ. საგულისხმოა, რომ ფანჯიკიძისგან „შერისხულთა სიაში“ — არც მეტი, არც ნაკლები — ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საპატიო კონსულებიც აღმოჩნდნენ. ასეთი რამ კი, როგორც „ვერსიას“ დიპლომატიაში გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა აუხსნეს, მსოფლიო დიპლომატიის ისტორიას არ ახსოვს!

მეტიც, თავის დროზე ანუ მაშინ, როცა ნაცმოძრაობამ „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლის ფორმატში ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა გაუუქმა, მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმაც კი არ თუ ვერ იკადრა ის, რაც იკადრა ფანჯიკიძემ. სახელდობრ, ბიძინა ივანიშვილი იმ დროს სან-მარინოს საპატიო კონსული გახლდათ. მოგეხსენებათ, ნაციონალები „ოცნებას“, უფრო კონკრეტულად, ივანიშვილს ხმალამოღებულნი ებრძოდნენ და, შესაბამისად, სააკაშვილის რეჟიმს შეეძლო, საქართველოს მოქალაქეობის გაუქმებასთან ერთად, ივანიშვილისთვის კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინა და საპატიო კონსულებზე იერიში მიეტანა, მაგრამ ის, რაც არ ან ვერ გააკეთა სააკაშვილმა, გააკეთა ფანჯიკიძემ!

ერთი სიტყვით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, წელიწადზე მეტია, საქართველოში აკრედიტებული 20 ქვეყნის საპატიო კონსული უფლებაშეზღუდულია, რაც ნიშნავს, რომ ისინი დიპლომატური პრივილეგიით ვეღარ სარგებლობენ. შესაძლოა, ვინმემ თქვას, მერე რა მოხდა, თუ საპატიო კონსულები დიპლომატიური პრივილეგიებით ვეღარ სარგებლობენ, ამის გამო მაია ფანჯიკიძე „ანათემას“ რატომ უნდა გადავცეთო. ცხადია, ეს ლეგიტიმური კითხვაა, რომელზე პასუხის გასაცემად, მინიმუმ, იმის ცოდნაა საჭირო, თუ რა მისია აქვთ და, საერთოდ, ვინ ინიშნებიან საპატიო კონსულებად.

დიპლომატიურ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „საპატიო კონსული არის პირი, რომელიც არ იმყოფება სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ წარმგზავნი სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან, ასრულებს ცალკეულ საკონსულო ფუნქციებს. საპატიო კონსულად შეიძლება დაინიშნოს როგორც წარმგზავნი, ასევე, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე.“ ხოლო საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ საქართველოს კანონის 96-ე მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს საპატიო კონსულად შეიძლება დაინიშნოს პირი თუ მას: ა) აქვს გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა და საჭირო პირადი თვისებები იმისთვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული საკონსულო ფუნქციები; ბ) თავისი საქმიანობით დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე; გ) ეს გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან“.

1963 წელს მიღებული ვენის კონვენციის მე-58 და 67-ე მუხლები, მცირე გამონაკლისების გარდა, საპატიო კონსულებს იმავე პრივილეგიებსა და იმუნიტეტს ანიჭებს, რაც სახელმწიფო სამსახურში მყოფ კონსულებს აქვთ.

დიპლომატიურ ლექსიკონს რომ თავი დავანებოთ და მარტივად ვთქვათ, ამა თუ იმ ქვეყნის საპატიო კონსულად, როგორც წესი, ქვეყნის რეზიდენტი ბიზნესმენები ინიშნებიან და მათი ძირითადი მისია სწორედ ბიზნესის კუთხით მუშაობაა, ანუ ისინი არეგულირებენ ორ ქვეყანას შორის ბიზნესურთიერთობას, ხელს უწყობენ ინვესტიციების მოზიდვას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და ასე შემდეგ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ენიჭებათ საპატიო კონსულის თანამდებობაზე უპირატესობა მაინცდამაინც ბიზნესმენებს, პასუხი აქაც მარტივია: საპატიო კონსულებს არავინ აფინანსებთ, ისინი საქმიანობას საკუთარი ხარჯებით ეწევიან, ესე იგი, დიპლომატურ საქმიანობას პირადი სახსრებით ახორციელებენ. სანაცვლოდ კი, ისეთი დიპლომატიური პრივილეგიებით სარგებლობენ, როგორიც, მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტია. ყველაფერი ეს მსოფლიოში აპრობირებული დიპლომატიური ხერხია. მეტიც, საპატიო კონსულები, 1963 წლის 24 აპრილის ვენის კონვენციით, რომელსაც საქართველო 1993 წელს მიუერთდა, კარიერულ დიპლომატებთან არიან გათანაბრებულები.

რა გახდა მაია ფანჯიკიძის ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიზეზი? — ამის გარკვევას თავის დროზე საპატიო კონსულები შეეცადნენ, თუმცა მათთან კომუნიკაცია, ფანჯიკიძეს ვინ ჩივის, მისმა ერთმა მოადგილემაც არ ინება. მას შემდეგ, რაც ფანჯიკიძემ პოსტი დატოვა და საგარეო საქმეთა მინისტრი „ემოციურ გაუგებრობაში“ აღმოჩენილი თამარ ბერუჩაშვილი გახდა, საპატიო კონსულებს იმედი მიეცათ, რომ ახალი მინისტრი მაინც მოუსმენდა, მაგრამ 20 ქვეყნის უფლებაშელახული საპატიო კონსულის, როგორც იტყვიან, არსებობა არც ბერუჩაშვილმა შეიმჩნია. არადა, ამ უკანასკნელს, ფანჯიკიძის მსგავსად, დიპლომატიაში მოღვაწეობის დიდი სტაჟი ჰქონდა და წესით, უნდა სცოდნოდა, რა უხერხულობას უქმნის ქვეყანას ზემოხსენებული დიპლომატიური სკანდალი, მით უმეტეს, რომ ქვეყნებში, რომელთა საპატიო კონსულებსაც ქართულმა მხარემ უფლებები შეუზღუდა, საქართველოს საპატიო კონსულები ყველა დიპლომატიური პრივილეგიით სარგებლობენ, რაც თავისთავად, კიდევ ერთი დიპლომატიური უხერხულობაა.

მაია ფანჯიკიძე, თამარ ბერუჩაშვილის მსგავსად, ქართული დიპლომატიისთვის უკვე ისტორიის კუთვნილებაა. შესაბამისად, ქვეყნის საგარეო უწყების სათავეში გიორგი კვირიკაშვილი მოვიდა თუ არა, საპატიო კონსულებს მიეცათ იმედი, რომ ე.წ. ფანჯიკიძის რეფორმა, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიური უხერხულობა შეუქმნა, ანულირებული იქნებოდა. ამ იმედს ისიც ამყარებდა, რომ თავის დროზე საპატიო კონსულების, როგორც იტყვიან, გულისტკივილი პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გაითავისა. ყოველ შემთხვევაში, დიპლომატებს საკითხის არსში გარკვევა აღუთქვა და წერილით საგარეო უწყებას მიმართა, საიდანაც გაურკვეველი პასუხი მოვიდა ანუ საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ, ქალბატონმა თოთლაძემ კომიტეტს გაურკვევლად აუხსნა, რა გახდა საპატიო კონსულებისთვის დიპლომატიური პრივილეგიების სეკვესტრის მიზეზი.

იმის გასარკვევად, „ფანჯიკიძის სკანდალი“ გამოსწორდა თუ არა, „ვერსია“ ზვიად კვაჭანტირაძეს სოციალური ქსელით დაუკავშირდა, თუმცა მისი თქმით, ახალი არაფერია.

„მაგ მიმართულებაში უწესრიგობა ნამდვილად იყო და აუცილებლად უნდა დალაგებულიყო. მაია ფანჯიკიძე ამ საკითხს ძალიან რადიკალურად მიუდგა და საპატიო კონსულებს პრივილეგიები მაქსიმალურად შეუკვეცა, თუმცა ეს მინისტრის პოლიტიკური ნების თემა იყო, ასე ჩათვალა საჭიროდ და მისი მხრიდან უკანონობა ნამდვილად არ მომხდარა. ისე, ჩემი აზრით, არც ასე ვარგა, რაც დღეს მივიღეთ — საპატიო კონსულების დღევანდელი რეალური მდგომარეობა საერთოდ აღარ შეესაბამება ვენის კონვენციის მოთხოვნებს. ეს პრობლემა თავის დროზე საგარეო კომიტეტშიც განვიხილეთ და ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, საჭიროდ ჩავთვალეთ, საგარეო საქმეთა ახალი მინისტრისთვის, თამარ ბერუჩაშვილისთვის მიგვემართა, რათა ხელმეორედ განეხილა საპატიო კონსულების სტატუსი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სამინისტრომ, ფაქტობრივად, იგივე გვიპასუხა, რომ არანაირი გადახედვა არ იგეგმებაო. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ ეს საკითხი ფორმატში განხილვას მოითხოვს და ამ განხილვას უახლოეს მომავალში აუცილებლად გავუწევთ ორგანიზებას. საკითხის ასე დატოვება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარე **ზვიად კვაჭანტირაძემ.**

ამ ეტაპზე, საპატიო კონსულებს საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის იმედი აქვთ და პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ ქვეყნის მოქმედ პირველ დიპლომატთან, მინიმუმ, კომუნიკაცია არ გაუჭირდებათ, რადგან ცნობილია, რომ გიორგი კვირიკაშვილი ყველას უსმენს, ვინც მასთან შეხვედრას ითხოვს. აქედან გამომდინარე, ბატონი მინისტრი საპატიო კონსულებს, როგორც ეს უკანასკნელნი ვარაუდობენ, მინიმუმ, მოუსმენს.

ახლა, რაც შეეხება იმ მიზეზს, რის გამოც ფანჯიკიძემ საპატიო კონსულებს უფლებები შეუკვეცა. მართალია, ამის მიზეზი ყოფილ მინისტრს არც მაშინ განუმარტავს და არც მერე, მაგრამ გავრცელებულია ვერსია, რომლის თანახმადაც, ყოფილმა მინისტრმა საპატიო კონსულების კოჰორტაზე „შური“ თითქოს ერთ-ერთი საპატიო კონსულის გამო იძია, რომელსაც რაღაც სთხოვა, თხოვნაზე უარი მიიღო და სწორედ ამიტომ დასაჯა.

აღსანიშნავია, რომ საპატიო კონსულებს ამ ვერსიის არ სჯერათ, თუმცა პრესასთან საუბრისას, სან-მარინოს საპატიო კონსულმა და, ამავდროუდლად, კონსულების ასოციაციების პრეზიდენტმა ელენე ლეჟავამ მომხდარს დრაკონული უწოდა და განაცხადა: **„არ მინდა ვიფიქრო, რომ ყველაფერი ეს ვიღაცასთან პირად უთანხმოებას უკავშირდება. ასეთი დრაკონული მიდგომის მიუხედავად, საპატიო კონსულებმა ეს ვითარება ჩვენს წარმომგზავნ ქვეყნებში იმდენად კიდევ არ გავამწვავეთ, რამდენადაც ფანჯიკიძე იმსახურებდა. ანგარიში გავუწიეთ საქართველოს დიპლომატიურ იმიჯს და მოცდა ვამჯობინეთ. საბედნიეროდ, პერსონალიები სამინისტროში შეცვლილია და დიდი იმედი მაქვს, საპატიო კონსულების მორიგი მიმართვის შემდეგ მაინც, ახალი მინისტრი, რომელიც გამოცდილი დიპლომატია, ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს საპატიო კონსულებთან დაკავშირებით“.**

როგორ დამთავრდება ე.წ. საპატიო კონსულების სკანდალი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა იმ დროს, როცა საქართველოს ვარშავის სამიტი და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიება ელის, მსგავსი „გაუგებრობები“, ალბათ, დროულად უნდა აღმოიფხვრას.

ვერსიანიუსი

„2016 წელს საქართველო უვიზო რეჟიმს ევროკავშირთან 99%-ით მიიღებს“

ევროპარლამენტის მომხსენებელი ანდრეს მამიკინსი აცხადებს, რომ დიდი ალბათობით, საქართველო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას 2016 წელს მიიღებს.

ამის შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელმა ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ინტერნეტგამოცემასთან ინტერვიუში ისაუბრა. მამიკინსი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი უსამართლოდ მოექცა საქართველოს, როცა შარშან მხოლოდ მოლდოვასთან შემოიღო უვიზო რეჟიმი: **„მოსალოდნელია ევროკომისიის ძალიან დადებითი მოხსენება, რომელიც ამ წლის ბოლომდე იქნება გაჟღერებული. 99%-ით შესაძლებელია ითქვას, რომ უვიზო რეჟიმი მომავალი წლისთვის იქნება შემოღებული“.**

ანდრეს მამიკინსის თქმით, ის, რომ შარშან მოლდოვამ მიიღო უვიზო მიმოსვლა, ხოლო საქართველომ ვერა, იყო ერთგვარი უსამართლობა, რადგან ეს ორი ქვეყანა თანაბარია როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის კუთხით, ასევე, ტერიტორიული პრობლემებისა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით.

მომხსენებლის თქმით, მოლდოვამ უვიზო რეჟიმი ძლიერი რუმინული ლობის მეშვეობით მიიღო და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის მილიონზე მეტ მოქალაქეს ასევე რუმინეთის მოქალაქეობა აქვს და თავისუფლად შეუძლიათ ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილება.

მამიკინსმა აღნიშნა, რომ საქართველო იმ სამ ახალ ასოცირებულ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც აბსოლუტური ლიდერები არიან ჰარმონიზებული კანონების თვალსაზრისით და ასევე იმ პროექტების რაოდენობით, რომელთა რეალიზებაც საქართველოს ტერიტორიაზე ხდება: **„ჩვენ ვიცით, რამდენად აუცილებელია უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოს საზოგადოებისთვის, რამდენად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამას და რამდენად სამართლიანად განაწყენდა იმის გამო, რომ აღმოსავლეთპარტნიორობის და ასოცირებული ქვეყნების წარჩინებულმა წარმომადგენელმა, მოლდოვისგან განსხვავებით, ვერ მიიღო უვიზო მიმოსვლა“.**

მომხსენებლის თქმით, საქართველო საუკეთესოდ მოემზადა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმისთვის და მოხსენების პრეზენტაციის შემდეგ, სავარაუდოდ, მიიღებს უვიზო მიმოსვლას: **„შესაძლებელია, იყოს რაიმე სიმბოლური კენჭისყრა ევროპარლამენტში. რთული არაა წინასწარ განსაზღვრო, რომ ევროპარლამენტარების უმეტესობა მხარს დაუჭერს, რადგან ერთი წლის წინ მათ მხარი დაუჭირეს საქართველოს ასოცირებულ წევრობას. მთავარი გადაწყვეტილება მათ უკვე მიიღეს, ამიტომ უვიზო რეჟიმის შემოღება ახლა მხოლოდ ტექნიკური საკითხია“.**

რაც შეეხება უვიზო რეჟიმის შემოღებას სხვა ასოცირებული წევრებისთვის, მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ნაკლებად სავარაუდოა 2016 წელს უკრაინამ და თურქეთმა მიაღწიონ ვიზალიბერალიზაციის პროცესს.

„პია“

„შესაძლოა სააკაშვილი, პუტინი და მედვედევი დაიჭირონ“

ჰაგის სასამართლოს რა განაჩენს ელის იურისტი და უფლებადამცველი ლია მუხაშავრია

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

ჰაგის სასამართლო, 7 წლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხებით დაინტერესდა. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ ქართული მხარე მაქსიმალურად ითანამშრომლებს ჰაგის პროკურორ ფატუ ბენსუდასთან, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა. წულუკიანის აზრით, აგვისტოს ომის გამოძიება არ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ ჰაგის პროკურატურამ არ გამოიძია ქართველი სამხედრო ტყვეების წამებისა და მკვლელობის ფაქტები. ფატუ ბენსუდა კი ქართველ და ოს სამხედროებს სამხედრო დანაშაულში სდებს ბრალს — აცხადებს, რომ ისინი სამშვიდობოებს თავს დაესხნენ. ბენსუდა ქართველების მიერ რუსეთის ათი ჯარისკაცის მკვლელობაზეც საუბრობს... რა შედეგს უნდა ველოდეთ გამოძიებისგან? „ვერსია“ იურისტსა და უფლებადამცველს, ლია მუხაშავრიას ესაუბრა.

— ქალბატონო ლია, ჰაგის სასამართლოს საქართველო და აგვისტოს ომი დღეს რატომ გაახსენდა?

— სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო... საქართველო რომის სტატუსის ხელმომწერია, რაც ნიშნავს, რომ თუ ჩვენს ტერიტორიაზე ომის დანაშაული ვინმემ ჩაიდინა, მოქალაქეობის მიუხედავად, ვალდებულები ვართ, გამოვიძიოთ, დამნაშავე გამოვავლინოთ და დავსაჯოთ. 2008 წელს, ომის დანაშაული ნამდვილადაა ჩადენილი. მტკიცება არ სჭირდება, რომ ეთნიკური წმენდა მოხდა, ქართულ მხარეს კი გამოძიება არ ჩაუტარებია. ამ მხრივ ყველანაირი ვადა ამოგვეწურა და დადგა დრო, ჰაგის სასამართლო ჩაერიოს. ჰაიდი ტალიავინის ანგარიშის შემდეგ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაადგინა, მის საფუძველზე, გამოძიება ჰაგის ტრიბუნალმა დაიწყოს. სუბიექტური გარემოება კი ისაა, რომ 21-ე საუკუნეში, რუსეთის, როგორც აგრესორის შემაკავებელი უკეთესი გზა არ არსებობს. თუ რუსეთი რამენაირად გახდება პასუხისმგებელი ჩადენილი დანაშაულებისთვის 2008 წლის აგვისტოში, კარგი ფაქტორი იქნება, მისი აგრესია შემცირდეს უკრაინაში, სირიაში.

— ანუ, რუსეთის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ევროპას „აწყობს“?

— რა თქმა უნდა. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გამოიკვეთება დამნაშავედ, პრემიერი, პრეზიდენტი, სამხედრო მეთაური თუ სხვა — ისინი პროფესიონალურად მოქმედებენ და ვის წინააღმდეგაც მოიპოვებენ მტკიცებულებებს, მის წინააღმდეგ დაიწყება სასამართლო განხილვა.

— 7 წლის შემდეგ სრულფასოვანი გამოძიების ჩატარება შესაძლებელია?

— ჩვენ ვსაუბრობთ გენოციდზე, ეთნიკურ წმენდაზე... ეს არის დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობს მშვიდობიანი მოქალაქეების და მოსახლეობის მკვლელობას, დაჭრას, ტყვედ აყვანას, მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობას. ეთნიკური წმენდის მტკიცება საჭირო აღარაა, რადგან ქართული სოფლები დაცლილია ქართული მოსახლეობისგან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განადგურებულია საცხოვრებელი სახლები. ეს ყველაფერი დასტურდება, თუნდაც სატელიტური ფოტოებით. არსებობს სამედიცინო და გარდაცვალების ცნობები, ფაქტები აღნუსხულია ტალიავინის დასკვნაში. ტყვეების გათავისუფლებაში კი, მონაწილეობდა საერთაშორისო წითელი ჯვარი და ევროკომისარი თომას მაკენბერგი...

— თქვენი აზრით, რომელი მხარის სასარგებლოდ გამოიტანს სასამართლო გადაწყვეტილებას?

— ჯერ უნდა გავარკვიოთ, ვის წაუყენებენ ბრალს და მერე პროცესის მიმდინარეობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ანგარიშები რეგულარულად ქვეყნდება და გვეცოდინება, როგორ დასრულდება პროცესი. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. ვფიქრობ, უმეტესად, ბრალდებულები იქნებიან, რუსული შეიარაღებული ბანდფორმირებების წარმომადგენლები და მათი მეთაურები, რადგან ჩემი ინფორმაციით, ყველაზე მეტად ისინი სჩადიოდნენ დანაშაულებს და ერჩოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ამას რუსეთის რეგულარული არმიის წარმომადგენლებიც აკეთებდნენ. ამას გამოძიება დაადგენს.

— თუ გამოიკვეთა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები მშვიდობისმყოფელთა მისიის წარმომადგენლებს თავს დაესხა, რა პასუხისმგებლობა დაეკისრება ქართულ მხარეს და ჯარისკაცებს?

— გამოძიებას აინტერესებს, ვინ გასცა ბრძანება, რადგან ჯარისკაცი ბრძანების გარეშე არ მოქმედებს. ომის დანაშაულებს, ზოგადად, ბრძანების გამცემები, ხელმძღვანელი პირები სჩადიან და არა შემსრულებლები. ისე, მაგალითად, უმოქმედობითაც შეიძლება დანაშაულის ჩადენა. დანაშაულია ასევე, ინფორმაციის არმიწოდება, რისი ვალდებულებაც ჩვენს სახელმწიფოს აქვს მოსახლეობის მიმართ. ხელისუფლებას მოსახლეობის ევაკუაცია უნდა მოეხდინა. თუ წინასწარ ვერ განსაზღვრეს მოსალოდნელი საფრთხე და ევაკუაცია ვერ მოახდინეს, მაშინ მოსახლეობას სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რომ ადამიანებმა თავს უშველონ. არც ერთი ეს ვალდებულება არ შესრულდა. მეტიც, ვიცით შემთხვევები, ადამიანებმა ტელევიზიით მოისმინეს, სააკაშვილი რომ ამბობდა, ცხინვალი ავიღეთ და ჯავის მიმართულებით მივდივართო. ამ დროს მოსახლეობამ დაინახა, რომ მეზობელი სოფელი იწვოდა. იფიქრეს, რაღაც ვერაა რიგზე, გაიქცნენ, მაგრამ შორს ვერ წავიდნენ, ტყვედ ჩავარდნენ და საშინელ პირობებში აყურყუტეს ცხინვალის ციხეში, სადაც გარდაიცვალნენ ან დაიჭრნენ. ეს უკიდურესად მძიმე დანაშაულია და მე, იურისტი, ვამტკიცებ, რომ მას განზრახ სჩადიოდა ჩვენი მთავარსარდალი.

— ანუ, შესაძლოა გამოძიება სააკაშვილის კვალზე გავიდეს?

— გამოძიებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავე რომელი ქვეყნის მოქალაქეა და რა სტატუსის. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, როგორც ადამიანს, როგორც იურისტს, რომელიც საქმის კურსშია და რომელსაც, პირადად აქვს არაერთი მსხვერპლისგან ჩვენება მიღებული, გამიხარდება, თუ მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

— სააკაშვილის გარდა, ვინ შეიძლება ჰაგის სასამართლოს საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს?

— ყველაზე დიდი შედეგი იქნება, ორივე ქვეყნის პირველი პირები, სააკაშვილი, პუტინი, მედვედევი... მისცენ პასუხისგებაში. ვფიქრობ, ასეც იქნება. ამ ომის გამო, ნებისმიერი პირის ნებისმიერი სასჯელი ჩვენი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იქნება, რადგან ბოლო 25 წლის განმავლობაში რამდენიმე შიდაშეიარაღებული კონფლიქტი ისე გავიარეთ, დამნაშავეები არ გამოვლენილა და დასჯილა, დაზარალებულებს არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ. მორალური კომპენსაცია იქნება, დამნაშავე დაისაჯოს. ომის უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირები საზოგადოებისგან იზოლირებული უნდა იყვნენ და ეს რაც მალე მოხდება, რაც მალე გავთავისუფლდებით ასეთი ადამიანებისგან, მით მით უკეთესი.

— გამოდის, მოარული ხმები, სააკაშვილს დაიჭერენო, საფუძველსმოკლებული არაა — თუ სასამართლომ მისი, პუტინისა და მედვედევის ბრალეულობა დაადგინა, შესაძლოა ისინი დააპატიმრონ?

— გამტყუნებამდეც შეიძლება მათი დაჭერა, სანამ სასამართლო განხილვა დაიწყება. უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულებს წინასწარი დაკავების წესით, იჭერენ ხოლმე და მერე იწყება სასამართლო განხილვა. ასე რომ, შესაძლოა, პუტინის, მედვედევის და სააკაშვილის დაკავების გადაწყვეტილება მიიღოს ჰაგის სასამართლომ.

16 ნოემბერს თბილისში ტოლერანტობის დღე პირველად აღინიშნება

რა პრობლემები აქვთ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

16 ნოემბერს მსოფლიო ტოლერანტობის დღეს აღნიშნავს. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, რიმა ბერაძის ინიციატივით, საკრებულოში ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. რიმა ბერაძისა და ამ საბჭოს ორგანიზებით, 2015 წლის 16 ნოემბერს, დედაქალაქის საკრებულო ტოლერანტობის დღეს პირველად აღნიშნავს. საკრებულოში 13-დან 16-მდე დიასპორის წარმომადგენლები საკუთარ კუთხეებს მოაწყობენ.

„ვერსიასთან“ საუბრისას, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **რიმა ბერაძემ** აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი, მისასალმებელი სიტყვის ნაცვლად, ტოლერანტობის დღე თბილისში განსხვავებულად ჩატარდება:

„გადავწყვიტეთ, თბილისში არსებული ძირითადი დიასპორის წარმომადგენლები, ტოლერანტობის დღეს საკრებულოში, საკუთარი კუთხეებით წარმოჩინდნენ. თუ 16 ნოემბერს თბილისის საკრებულოს ეწვევით, 13-დან 16-მდე დიასპორის წარმომადგენელთა კუთხეს ნახავთ, სადაც მათ წარსულს, აწმყოსა და მომავალს გაეცნობით. ამ ღონისძიებაზე ყველა ეროვნების, ეთნიკური ჯგუფისა და კონფესიის წარმომადგენელს ვეპატიჟებით, რათა არც ერთი მათგანი არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. გვინდა, ტოლერანტობის დღე ტრადიციად იქცეს. ისეთ ქვეყანაში უნდა ვიცხოვროთ, სადაც ყველა კონფესია და ეროვნული უმცირესობის ყველა წარმომადგენელი დაფასდება“.

რიმა ბერაძის განცხადებით, ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებსაც იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც თითოეულ ჩვენგანს. ჩულურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში მზადაა, შეძლებისდაგვარად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. „ვერსიასთან“ საუბრისას რიმა ბერაძემ აღნიშნა, რომ თბილისი სიყვარულის ქალაქია, სადაც ყოველთვის მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა და გენოციდის ფაქტი არასოდეს დაფიქსირებულა: **„ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ყოფილ „იტალიურ ეზოებში“, რასაც ახლა თბილისურ ეზოებს ვუწოდებთ, ერთად ცხოვრობენ და ესაა ჩვენი სიამაყე. ძველ თბილისში, 300-400 კვადრატული მეტრ მიწის ნაკვეთზე, რამდენიმე, სხვადასხვა კონფესიის ტაძარი დგას და ესეც ჩვენი სიამაყეა. ვამაყობ, რომ თბილისის ისტორიულ ტერიტორიაზე, ცნობილი სომხური ტაძრის რესტავრაციაში თავისი წვლილი ბიძინა ივანიშვილმაც შეიტანა და 100 000 აშშ დოლარით დაეხმარა ტაძრის აღდგენას. რამდენიმე დღის წინ, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სომხეთის პრეზიდენტი და პატრიარქი. მათთან ერთად მოვინახულეთ აღდგენილი ტაძარი“.**

მას შემდეგ, რაც რიმა ბერაძე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გახდა, გადაწყვიტა, ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭო შეექმნა. მრავალეროვანი ჩულურეთის რაიონის მაჟორიტარისგან ეს გადაწყვეტილება გასაკვირი არ იყო. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ, ეროვნებით სომეხი ქალბატონი, მარგარიტა ხიდირბეგიშვილი დანიშნეს: **„საკოორდინაციო საბჭოში, თბილისის თითქმის ყველა დიასპორის წარმომადგენელია გაერთიანებული. საბჭოს ამოცანაა, დიასპორებთან ყოველდღიურ რეჟიმში ვიმუშაოთ და მათი პრობლემები გადავჭრათ. წინა ხელისუფლებას ეს კონტინგენტი მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდებოდა. თუ მათ ჩვენი ქალაქის ნაწილად ვთვლით, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებშიც უნდა ჩავრთოთ. ამ ხუთ თვეში, შევძელით, „მეგობრობის სახლის“ გახსნაში დავხმარებოდით — 20 წელია, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ამ სახლის გახსნას ითხოვენ, რადგან ეს იქნება ადგილი, სადაც ისინი შეიკრიბებიან და ერთა შორის განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს დაგეგმავენ. თბილისის მერის, დავით ნარმანიას დახმარებით, „მეგობრობის სახლი“ მალე გაიხსნება. ახლა მისი დებულება იწერება და იმედია, 2016 წლის თბილისის ბიუჯეტში, ამისთვის საჭირო თანხაც გამოინახება“.**

რიმა ბერაძის თქმით, თბილისის საკრებულოსა და მერიის ორგანიზებით, წელს ბაკურიანში, პირველად შეიქმნა ტოლერანტული ბანაკი, რომელშიც საკრებულოს ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოც იყო ჩართული. სწორედ მათი ორგანიზებით მოხერხდა, რომ ტოლერანტულ ბანაკში, წელს სხვადასხვა ეროვნული უმცირესობისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელმა მოზარდებმა დაისვენეს.

ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, რიმა ბერაძე და საკრებულოს თავმჯდომარე გივი ალიბეგაშვილი, სომხური, აზერბაიჯანული დიასპორებისა და იეზიდთა კავშირის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ ეტაპზე, სომხური და აზერბაიჯანული თეატრების რესტავრაცია იგეგმება, თუმცა კულტურის სამინისტროსთან ერთად, თბილისის საკრებულომ ამ თეატრების საძირკვლის გამაგრება უკვე შეძლო. სომხური თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე კი სკვერი მოეწყო, რომელიც მალე გაიხსნება. რაც შეეხება იეზიდთა კავშირს, რიმა ბერაძის განმარტებით, საქართველოში 20 000 იეზიდი ცხოვრობს. მათ ძირითადად ყოფითი სახის პრობლემები აქვთ, ახალგაზრდებს კი დასაქმების მიზნით, სხვადასხვა პროგრამაში სურთ მონაწილეობა, რასაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს. გივი ალიბეგაშვილმა და რიმა ბერაძემ მათ დახმარება აღუთქვეს.

ცხოვრება ობამას შემდეგ

ერუსუდან ხავთასი

როგორ ემზადება აშშ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის

2016 წლის შემოდგომაზე ბარაკ ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადა ეწურება და აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი პარტიის კანდიდატს დაუჭერს მხარს ამომრჩეველი. „ვერსია“ მცირე შემოკლებით გთავაზობთ „ფორბსის“ პუბლიკაციას იმის შესახებ, როგორ ემზადება აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტი არჩევნებისთვის და როგორი იქნება ამერიკელების ცხოვრება ობამას შემდეგ.

ალბათ, აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე საინტერესო და განხილვადი კანდიდატი დონალდ ტრამპია. ზოგადად, ამერიკის არჩევნების ისტორიაში, ის პრეზიდენტობის ყველაზე მდიდარი კანდიდატია — ერთადერთი მილიარდერი პრეტენდენტებს შორის. ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში ტრამპი 121-ე ადგილასაა, თუმცა უკმაყოფილოა ამ მონაცემით და ამბობს, რომ „ფორბსი“ ცდება, რადგან ორჯერ მდიდარია. ტრამპი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანია, რაც პოლიტიკაში, უდავოდ დიდი პლუსია. ტრამპის პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ თავად განასახიერებს რესპუბლიკელების შემდეგ ლოზუნგებს: „ამერიკელის მთავარი საქმე ბიზნესია“ და „საკუთარ თავზე დაყრდნობა, მთავრობის უნდობლობა“. ამ ფონზე, გასაკვირი არ იყო, რომ კანდიდატებს შორის პირველ ადგილზე დიდხანს მოიაზრებოდა, თუმცა ცოტა ხნის წინ ვითარება შეიცვალა. მიზეზი, ელექტორატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილთან, ქალებთან ცუდი დამოკიდებულებაა — სუსტი სქესის წარმომადგენლებს დონალდ ტრამპი ხან „მსუქან ღორებად“ მოიხსენიებს, ხან „ძაღლებად“, ხან კი (მაშინ, როცა ქალები ბავშვებს ძუძუს აწოვებენ) „გულისამრევ არსებებად“. ასევე მან უხეშად დაარღვია პოლიტიკური კორექტულობა და ზრდილობის ნორმები, როდესაც განაცხადა, რომ დებატების ტელეწამყვან მეგინ კელის, „სისხლი მოსდიოდა თვალიდან და კიდევ სხვა ადგილიდან“. ამის შემდეგ რესპუბლიკელების მოწვევა უმნიშვნელოვანეს წინასაარჩევნო მიტინგებზე გამოსვლის შესახებ, გაუქმდა. ტრამპმა უხეშად მოიხსენია ასევე ესპანურენოვანი ამომრჩეველი და თქვა, რომ ისინი „კრიმინალები არიან, რომლებიც ამერიკელებს ხოცავენ“. როგორც ჩანს, რესპუბლიკელების პარტია, ბუში-შვილის შემდეგ კრიზისში იმყოფება. მათ ვერ შეძლეს პოპულარული და ძლიერი კანდიდატის პოვნა. 2012 წელს მათი კანდიდატი მით რუმნი კი, ბანალურობისა და უბრალოების განსახიერება იყო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გამარჯვებისთვის მათ ახალი სახელები და სისხლი სჭირდებათ.

კიდევ ერთი ბუში

პოლიტოლოგების აზრით, ამერიკის 43-ე პრეზიდენტის ძმამ და 41-ე პრეზიდენტის შვილმა ჯებ ბუშმა, აუცილებლად უნდა გადახედოს თავის საპრეზიდენტო კამპანიას. ჯერჯერობით მისი გვარი და ოჯახი მხოლოდ ხელს უშლის, რადგან ხალხი დაიღალა ბუში-პრეზიდენტებისგან, რომლებსაც მოსვლისას დაბალი რეიტინგები ჰქონდათ და ზოგადად, ხალხის გონებაში ბუში-შვილი, ყველაზე დიდ ტრაგედიასთან, 11 სექტემბერსა და მის შემდგომ კრიზისთან ასოცირდება.



დებატები „ფოქს 6“-ზე

რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის ათ კანდიდატს შორის პირველმა დებატმა, რომელიც ტელეკომპანია „ფოქს 6“-ზე გაიმართა, წინასაარჩევნო კამპანია „ააფეთქა“. მაშინ წარმოაჩინა თავი ახალგაზრდა ფლორიდელმა სენატორმა მარკო რუბიომ. იგი ღარიბი კუბელი ემიგრანტების ოჯახში გაიზარდა. მისი მშობლიური ენა ესპანურია. ძალიან მკაცრი პოზიცია უჭირავს საერთაშორისო საკითხებში, მათ შორის ირანთანაც. მისი შანსის შეფასება ჯერ ძალიან ძნელია, თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ მას ვიცე-პრეზიდენტის პოსტი გარანტირებული აქვს, თუ რესპუბლიკელების მეორე კანდიდატი ჯონ კეისკი მოიგებს პრაიმერიზს. საპრეზიდენტო სკამისთვის ასევე იბრძვიან ანტიკომუნისტები კუბიდან ტედ კრუზი (ტეხასის სენატორი) და იმიგრანტი ინდოელების ოჯახში დაბადებული ლუიზიანის გუბერნატორი „ბობი“ ჯინდლი. ეს უკანასკნელი ხალხს გადასახადების შემცირებას, კერძო სამედიცინო დაზღვევას, განათლების დონის ამაღლებას და კიდევ ბევრ სხვა სიკეთეს პირდება.

კენტუკის სენატორი რენდ პოლი კი, აბორტების, სახელმწიფოს მიერ ღეროვანი უჯრედების შესახებ კვლევების დაფინანსებისა და იარაღის ტარებისას უამრავი შეზღუდვის წინააღმდეგია. ის კონსერვატორულ-ლიბერტარიანული „ჩაისმსმელთა მოძრაობის“ საყვარელი წევრია, თუმცა იმდენად სპეციფიკური კანდიდატია, პრაიმერიზის მოგებისა და რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატად გახდომის დაბალი შანსი აქვს. მის „იზოლაციონალისტურ“ ხასიათს, მამამისს, რონ პოლის გენეტიკას აბრალებენ. მას მამის დახმარებით დიდი მხარდაჭერა აქვს, თუმცა ასევე დიდი პრობლემებიც გაუჩნდა, მაგალითად თეთრკანიან რასისტებთან. ჯებ ბუშის მსგავსად, რენდ პოლსაც მოუწევს, როგორმე დისტანცირება მოახდინოს მამის სახელისა და გავლენისგან.

საპრეზიდენტო არჩევნებში 28 კანდიდატი მონაწილეობს — 6 დემოკრატებიდან, 15 რესპუბლიკელებიდან და 7 დამოუკიდებელი.

ცოტა ხნის წინ, კანდიდატურა მოხსნა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მან გადაწყვეტილება ტრაგედიით ახსნა — მისი შვილი, ბო ბაიდენი, სიმსივნით გარდაიცვალა. თეთრ სახლში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ მწუხარებამ საარჩევნო მარათონში მონაწილეობა გამორიცხა.

წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომ ფინანსური მხარდაჭერის გარეშე თავისი კანდიდატურა პრაიმერიზისთვის ჯერ არავის დაუყენებია. ტრამპიც ტრაბახობდა დებატებზე, რომ პოლიტიკოსებს ყიდულობს: „მე ბევრს ვაძლევ ფულს, ამიტომ როცა მჭირდება, ისინი მოდიან და აკეთებენ ზუსტად იმას, რაც მე მინდა“. მისი კამპანია ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია და მან 100 მილიონ დოლარზე მეტის დახარჯვის სურვილიც გამოთქვა. ამ დროს კი ჯებ ბუშის შტაბში კამპანიისთვის დასახარჯ ფულს ზოგავენ თანამშრომლების გაგდების ხარჯზე. ეს დანაზოგი მას გამოადგება ტელევიზიაში რეკლამისა თუ ხალხთან სხვადასხვა ტიპის შეხვედრის გასამართად. პოლიტოლოგები დაბალრეიტინგული ჯებ ბუშის ამ ქმედებაში, მისი დაბალი პოზიციის შენარჩუნების სურვილს ხედავენ.

ყოფილი პირველი ლედი და რეიტინგები

ყველაზე გამოცდილი კანდიდატია ჰილარი კლინტონი — ყოფილი პირველი ლედი, ნიუ-იორკის ექსსენატორი და ბარაკ ობამას დროს სახელმწიფო მდივანი. ჰილარი კლინტონი დემოკრატიული პარტიის კანდიდატია.

დასასრული მე-10 გვერდზე

მაკა ლომაძე
555-27-95-13

გოეთეს ინსტიტუტი სწავლების ახალ მეთოდს ნერგავს

გოეთეს ინსტიტუტში, ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა, კულტურულ-მეცნიერებათა დოქტორმა, ბერლინის ხელოვნების ინსტიტუტის თანადამფუძნებელმა ჰილდეგარდ კურტმა, ქართველი პედაგოგებისთვის სემინარები გამართა გარემოსდაცვითი და მწვანე პედაგოგიკის, ასევე მდგრადი განვითარების თემაზე. ორდღიანი სემინარი გოეთეს ინსტიტუტის მასშტაბური პროექტის — „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის“ ფარგლებში განხორციელდა.

პროექტის მიზანია, სკოლებში გერმანული ენის გაკვეთილის დროს, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების თემების ინტეგრირება, რასაც გულისხმობს CLIL-ის (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) მეთოდი. მაგალითად, სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გარკვეული თემატიკის სწავლება მოხდეს სამიზნე უცხო ენაზე, რაც საგნობრივი ცოდნის გარდა დისციპლინას, კომპლექსურ აზროვნებასა და შემოქმედებითობას უწყობს ხელს. **„მოხარული ვარ, რომ საქართველოში ამ მისიით ჩამოვედი. დღეს მსოფლიო მოითხოვს თითოეული ჩვენგანი ხელოვანი იყოს. შევიმეცნოთ თავი, როგორც შემოქმედმა არსებებმა. ეს ხელოვნების გაფართოებული გაგებაა. უდიდესი გერმანელი ხელოვანი იუზეფ ბოისი, თავის მიღწევად, ხელოვნების გაფართოებული ცნების შემოღებას მიიჩნევდა. უნდა გავიაზროთ, რომ თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებულია. სამყაროს ჩვენგანაც სჭირდება, თუნდაც სულ პატარა წვლილი. არ არის აუცილებელი, იყო ნიჭიერი ხელოვნების ნებისმიერ დარგში, მაგრამ ყოველ ჩვენგანშია რაღაც შემოქმედებითი უნარები. მაგალითად: თანაგრძნობის უნარი, სამართლიანობის გრძნობა, ან კომუნიკაბელურობა... მსოფლიო ქაოტურ დინამიკაშია. დღეს აუცილებელია ტრანსფორმაცია, რისთვისაც საჭიროა, დავუკავშირდეთ საკუთარ შემოქმედებით უნარებს“,** — განაცხადა **ჰილდეგარდ კურტმა**.

სოფო ლალიაშვილი ერთ-ერთი ქართული სკოლის გერმანულის მასწავლებელია, რომელმაც პროექტში მონაწილეობა მიიღო. აცხადებს, რომ უკვე აქვს იდეა, როგორ ჩაატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად. ქალბატონი სოფო, გოეთეს ინსტიტუტს პროექტს უახლოეს მომავალში წარუდგენს.

ქართველი პედაგოგებისთვის, არც ისე დიდი ხნის წინ, პროექტის ფარგლებში, სემინარები ჩაატარეს კიდევ ერთმა ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა ბერნადეტ ვერეშმა და ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტიდან მაგისტრანტებმა. სემინარები ქუთაისის, რუსთავის, ვანის, ზუგდიდის, ანანურისა და ახალციხის სკოლებში მოეწყო. გოეთეს ინსტიტუტის მოწვევით გერმანიიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან მასტერკლასებით ჩამოვიდა 6 საერთაშორისო ექსპერტი: პროფესორი შტეფან შლაიჰერი (გრაცის უნივერსიტეტი), პროფესორი ვილჰელმ ლინდერი (ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტი), პროფესორი ქრისტინე ვოგოვიჩი (ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტის ვიცერექტორი), პროფესორი ვილჰელმ ლინდერი (ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტი), დოქტორი ფრანკ ჰოლცფორსტერი (გეოლოგიური ცენტრის დირექტორი), დოქტორი ბირგიტ კარე (ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტი).

გერმანული მხარის განმარტებით, ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რომელიც რეგიონულ მასშტაბზე გადის. გერმანელები კმაყოფილები არიან, რადგან ქართველმა პედაგოგებმა მდგრადობის მიდგომები სწრაფად აითვისეს. მათი მიზანია სკოლებში არა ახალი საგნის შეტანა, არამედ ახალი მიდგომების, ჩვევების დანერგვა, ხედვის გამოცოცხლება, რათა სხვაგვარად დავინახოთ ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება.

გოეთეს ინსტიტუტის საერთაშორისო პროექტს Vernetzt für Nachhaltigkeit (გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის), რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე გარემოს დაცვის სამინისტრო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს.

პროექტის „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისთვის“ ხელმძღვანელი **აიკე პოკრანდტი**, „ვერსიასთან“ მდგრადობასა და ხელოვნებას შორის კავშირზე საუბრობს: **„ხელოვნება ნიშნავს, შექმნა რაღაც ახალი, რაც ყოველდღიურობისგან შორს არის. ასეა მდგრადობაშიც. ეს მიდგომა ენის მასწავლებლებსაც სჭირდებათ. მაგალითად, როცა უხსნიან ბავშვებს, როგორაა საუზმე გერმანულად, სასურველია, გერმანული საუზმეც აღწერონ... სწორედ ეს არის გოეთეს ინსტიტუტის მიზანი. მეორე ასპექტია – მდგრადობა და ხელოვნება, რასაც სემინარი მიეძღვნა. რაც შეეხება მწვანე პედაგოგიკას, ეს გულისხმობს ჰაერზე მეცადინეობას. გერმანიაში, ხშირად, ნაციონალურ პარკში, ან სკოლის ეზოში ტარდება გაკვეთილები, რაც ბავშვებს ძალიან ახარებს“.**

გვანცა ხინთიბიძე, პროექტის ასისტენტი: **„პროექტი აქტიურ ფაზაში შევიდა. მნიშვნელოვანი და საინტერესო სემინარი გამართა ჰილდეგარდ კურტმა. ექსპერტები, რომლებიც სექტემბრიდან ჩამოდიან, მთელს ამიერკავკასიაში არიან განაწილებულები. ეს მაგისტრანტები პირველად შევიდნენ ქართველ პედაგოგებთან ერთად სკოლებში და პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური სემინარები ჩაატარეს“.**

პროექტის იდეის ავტორი გერმანელი ახალგაზრდაა, რომელიც საქართველოში ვიზიტისას ჩვენი ქვეყნის ულამაზესი პეიზაჟებით, კეთილგანწყობილი ხალხით მოიხიბლა. ამის პარალელურად, გერმანელი, გარემოს მიმართ უდიერი მოპყრობის მომსწრეც გახდა. გერმანელები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო მდგრადი განვითარების მიმართულებით ნაბიჯი გადაედგათ ქვეყნისთვის, რომელსაც ასეთი დიდი პოტენციალი აქვს და მაინც ამდენი პრობლემის წინაშეა. აიკე პოკრანდტი ამბობს, რომ ასეთი წარმატებული, ინოვაციური და ამბიციური პროექტი გოეთეს ინსტიტუტს არ ჰქონია და ეს მხოლოდ დასაწყისია.

სემინარებზე იგეგმება სასკოლო პროექტების მომზადება და საბოლოოდ სასწავლო მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო წიგნის დაბეჭდვა, რომელსაც პედაგოგების მომავალი თაობა გამოიყენებს. მონაწილე მასწავლებლების პროექტთა კრებულს, გოეთეს ინსტიტუტი გამოაქვეყნებს.

ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი უნივერსიტეტის პროფესორი **ვილჰელმ ლინდერი** აცხადებს, რომ სამყარო სწრაფად იცვლება და ვითარდება, ამიტომ, უნდა მოვიფიქროთ, რას დავტოვებთ შეუცვლელს და რას შევცვლით. მისივე თქმით, **„საქართველოს და ამიერკავკასიის უმშვენიერეს ბუნებას დაცვა სჭირდება მაშინ, როცა უამრავი ეკონომიკური გამოწვევაა რეგიონში. ნაგვის დახარისხებიდან დაწყებული, ფოკუსშია ყველა მომიჯნავე საკითხი. ახლა მოქმედების დროა და არა მხოლოდ ლოზუნგების – „მოვუაროთ დედამიწას, რომ იგივე ენერგია მივიღოთ მისგან“.** საერთაშორისო პროექტის დასკვნით-შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართება 5 დეკემბერს, გოეთეს ინსტიტუტში, სადაც შეფასდება ინდივიდუალური პროექტები, ასევე განიხილება პროექტის გრძელვადიანი შესაძლებლობის პერსპექტივა და მასთან დაკავშირებული იდეები.

ცხოვრება ობამას შემდეგ

მე-9 გვერდიდან

2008 წელს ის ყველაზე მაღალრეიტინგულ კანდიდატად ითვლებოდა, თუმცა ბარაკ ობამას გამოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ობამა ბევრად საინტერესო აღმოჩნდა ამომრჩევლისთვის ხასიათით, დრაივით, უფრო მისაღები იმიჯით, პროგრამითა და უფრო ახალგაზრდა, აქტიური გუნდით. ექსპერტები ფიქრობენ, რომ დღეს ასეთი კონკურენტი კლინტონს არ ჰყავს, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში პატარა ამბავმაც კი შეიძლება რადიკალურად შეცვალოს კანდიდატის რეიტინგი. ზუსტად ასე შეიცვალა ჰილარის რეიტინგიც უარესობისკენ, როდესაც გაირკვა, რომ სახელმწიფო მდივნობის პერიოდში, წერილებს აგზავნიდა პირადი და არა სახელმწიფო ფოსტიდან, როგორც კანონი ავალდებულებდა. კლინტონმა განაცხადა, რომ მას პირადი ფოსტით არ გაუგზავნია არანაირი საიდუმლო დოკუმენტი. სოციოლოგიური კომპანია News Network ამბობს, რომ გამოკითხვებით, მისი რეიტინგი 54,9%-ია, ხოლო მისი კონკურენტის, ბერნი სანდერსის — 18,4%.

რესპუბლიკელი-ლიბერალი

უფრო მომხიბვლელი, რომ გამხდარიყო ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა, რესპუბლიკელმა კრის კრისტიმ 2013 წელს „კუჭის ბანდაჟირება“ გაიკეთა და 45 კილოგრამი დაიკლო. ერთი წლით ადრე, 2012 წელს კი, მან თქვა, რომ მისი დრო ჯერ კიდევ არ მოსულა. დღეს კრისტი რესპუბლიკური პარტიიდან დებატების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტობის კანდიდატია. მას არც ისე სახარბიელო პოლიტიკური გამოცდილება აქვს. მისი კარიერა დაიწყო ჯორჯ ბუში-უფროსის შტაბში, შემდეგ ჯოჯრ ბუში-შვილის შტაბში გაგრძელდა, 2009 წლის ნოემბერში კი ნიუ-ჯერსის პირველი რესპუბლიკელი გუბერნატორი გახდა. მის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებს ამერიკის შეერთებულ შტატებში კაზინოების დიდი ქსელის, Las Vegas Sands-ის დამფუძნებელი შელდონ ადელსონი. ისევე, როგორც ყველა რესპუბლიკელი, ისიც ეწინააღმდეგება აბორტს, თუმცა ზოგადად ძალიან ლიბერალურია, იმიგრანტებს კრიმინალებად არ მიიჩნევს და არც ერთსქესიანების ქორწინების წინააღმდეგია.

ტრამპის კონკურენტი

ტრამპის გამოჩენისთანავე ყველამ ჩათვალა, რომ პრაიმერიზის შედეგები ფაქტობრივად, უკვე ცნობილი იყო, თუმცა ბოლო რეიტინგებმა აჩვენა, რომ მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა აფროამერიკელი ბენ კარსონის სახით. ამერიკელები მას დიდი ხანია იცნობენ. ის ნეიროქირურგიის განყოფილების უფროსი, მორწმუნე ქრისტიანი და კონსერვატორია. საზღვარგარეთ ცნობილია იმით, რომ პირველმა მსოფლიოში ერთმანეთს დააშორა სიამის ტყუპები. ამისთვის, ჯორჯ ბუშმა, პრეზიდენტის თავისუფლების მედლითაც დააჯილდოვა. კარსონი დაიბადა დეტროიტში და გაზარდა დედამ, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ შვილებისთვის განათლება მიეცა. დაამთავრა იელის უნივერსიტეტი. 29 წელი მუშაობდა ბავშვთა ნეიროქირურგიის განყოფილების მთავარ ექიმად. 2013 წელს წამოვიდა მედიცინის სფეროდან და დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომლის მიხედვითაც გადაიღეს ერთ-ერთი პოპულარული სერიალი.

კანდიდატების უმრავლესობა საკმაოდ მდიდარი ადამიანია. ტრამპს 4,5 მილიარდი დოლარის ქონება აქვს, მის შემდეგ modisHHewlett-Packard(HP)-ს ყოფილი გენერალური დირექტორი კარლი ფიორინა, რომელსაც 58 მილიონი დოლარი აქვს. რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, ბოლო 14 წელი ის უშვებდა წიგნებს, აწყობდა საზოგადოებრივ გამოსვლებს, ასევე იძლეოდა კერძო კონსულტაციებს. გამოთვლებით, ამ ყველაფერს დაახლოებით 230 მილიონი უნდა მოეტანა, თუმცა კლინტონმა დეკლარაციაში მხოლოდ 53 მილიონი მიუთითა.

არის ერთი თემა, რომელიც ყველა კანდიდატს აერთიანებს და ყველას ერთი აზრი აქვს, ესაა რუსეთი. დემოკრატები და რესპუბლიკელები ერთხმად ეძახიან პუტინს მსოფლიოს მთავარ ბოროტმოქმედს და რითაც შეუძლიათ, მის დემონიზირებას ახდენენ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1							2	
		5				3		1
	2	8		7				4
	4		9		7			
8		9	5		1	4		6
			8		4		1	
6				8		2	5	
5		2				8		
	8							7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	6		8	5			7	
3					6			
		7	4	2	1			
		6			7			5
1	7						9	8
8			2			7		
			1	4	9	5		
			5					7
	9			7	2		8	

ᲠᲗᲣᲚᲘ

				5	4	3		
	4			3	7			
	6	5						
	1	6			3		9	8
		4		8		5		
8	5		9			4	1	
						7	8	
			3	1			4	
		8	7	6				

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8		2	9				4	
		9	4	3		6		8
						2		
5					4			
	9	6				8	7	
			8					5
		5						
2		8		4	5	9		
	6				3	7		2

მარტივი ტესტი დღეგრძელობის დასადგენად

სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენის უნიკალური ტესტი მოიფიქრეს ბრაზილიელმა სწავლულებმა. ის ძალიან მარტივია და მაქსიმალურად ზუსტი, — ამტკიცებენ სპეციალისტები. ავტორების თქმით, საჭიროა ადამიანმა ხელების დახმარების გარეშე, გადააჯვარედინოს ფეხები და დაეშვას იატაკზე, მერე ამგვარადვე ადგეს. მეცნირების თქმით, ასეთი ვარჯიშის მაქსიმალური შედეგი 10-ჯერ გამეორებაა. ის ადამიანები, ვინც სამ ქულაზე ნაკლებს მოაგროვებენ (ანუ სამჯერაც ვერ მოახერხებენ ამ ილეთის შესრულებას), რისკის ზონაში იმყოფებიან — მათი ორგანიზმი ხუთჯერ სწრაფად კვდება. მათ კი, ვისი შედეგიც 7 და მეტი ქულა იქნება, წინ ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება ელის. თავდაპირველად, ეს ტესტი სპორტმენების მოქნილობის დასადგენად შეიმუშავეს, თუმცა შემდეგ სწავლულებმა მისი ფუნქციის გაფართოება გადაწყვიტეს, რადგან კუნთების მასის ტონუსის შემოწმებას შეუძლია ბევრი რამ გვითხრას ადამიანი ცხოვრების შესახებ.

ვისაც თვალის ფერის შეცვლა სურს



ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ნიუ-იორკის კლინიკის Island Eye Surgicenter მკვლევარებს მიაკითხონ. სწორედ მათ შეიმუშავეს თვალის ფერის შეცვლის მეთოდი, რომელსაც მცირე დრო — სულ 15 წუთი სჭირდება. ოპერაციისას, თვალში პატარა ჭრილის მეშვეობით, უთხელესი სილიკონის იმპლანტი შეყავთ, რომელიც თვალის ფერადი გარსის ფერს ცვლის. პროცედურა მცირე ხანს გრძელდება და ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება. ხელოვნური იმპლანტების გამოყენებას მკვლევარები ურჩევენ გარკვეული დაავადებების დროს, კერძოდ, ჰეტროქრომიისას (მდგმარეობა, რომლის დროსაც ადამიანს თვალების სხვადასხვა ფერის ფერადი გარსი აქვს). სიახლის გამოყენება კოსმეტოლოგიური თვალსაზრისითაც იქნება შესაძლებელი. ვისაც საკუთარი თვალის ფერი არ მოსწონს, შეუძლია იმპლანტის მეშვეობით შეცვალოს და თუ პაციენტი ოპერაციის შემდგომ უკმაყოფილო დარჩება შედეგით, იმპლანტის ამოღება უპრობლემოდ ხდება.

ᲑᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲑᲐᲜᲐᲜᲘ ᲙᲐᲜᲘᲐᲜᲐᲓ

ბრიტანეთის დიეტოლოგთა ასოციაცია გვირჩევს, ბანანი კანიანად მივირთვათ, რადგან კანში უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებაა, ვიდრე რბილობში. როგორც ბევრ სხვა ხილში, ბანანის შემთხვევაშიც ქერქი მდიდარია უჯრედისით, კაროტენოიდებით, ლუტეინით, კალიუმით, მაგნიუმით. გარდა ამისა, მასში დიდი რაოდენობითაა ტრიპტოფანი — ნივთიერება, რომელიც აუცილებელია სეროტონინის („ბედნიერების ჰორმონის“) გამომუშავებისთვის. შემოუსვლელი ბანანის კანი მწარეა, მაგრამ როცა ის ბოლომდე მომწიფდება, ქერქიც ნაზი და გემრიელი ხდება. ბევრი ადამიანისთვის ბანანის კანიანად ჭამა, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ დიეტოლოგების თქმით, ეს უბრალოდ, ჩვევაა. დასაწყისისთვის კი მსურველებს შეუძლიათ, მთლიანი ბანანის სმუზი მომზადონ, შეწვან კანიანად ან 10 წუთით ხარშონ და მერე გახეხონ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	7	5	4	6	3	2	1	8
4	8	3	2	5	1	7	9	6
2	1	6	9	8	7	5	4	3
1	2	9	5	7	6	8	3	4
7	3	8	1	4	2	9	6	5
6	5	4	8	3	9	1	2	7
3	6	2	7	1	5	4	8	9
8	9	7	6	2	4	3	5	1
5	4	1	3	9	8	6	7	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	3	7	2	1	5	6	9	4
4	6	5	3	7	9	2	1	8
2	1	9	8	6	4	7	3	5
5	7	4	1	3	8	9	6	2
6	9	8	4	2	7	1	5	3
3	2	1	9	5	6	4	8	7
7	8	3	6	4	1	5	2	9
1	5	2	7	9	3	8	4	6
9	4	6	5	8	2	3	7	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	7	6	4	1	9	8	5	2
9	1	8	3	5	2	7	6	4
4	5	2	8	7	6	3	1	9
7	6	1	9	8	5	2	4	3
5	4	3	7	2	1	6	9	8
8	2	9	6	4	3	1	7	5
2	3	5	1	6	4	9	8	7
6	9	7	5	3	8	4	2	1
1	8	4	2	9	7	5	3	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	9	6	1	7	8	5	4	3
1	4	3	5	6	2	9	8	7
8	7	5	4	3	9	6	2	1
4	5	8	3	2	7	1	6	9
3	6	2	9	1	5	8	7	4
7	1	9	8	4	6	3	5	2
5	3	7	6	9	4	2	1	8
6	2	1	7	8	3	4	9	5
9	8	4	2	5	1	7	3	6

მე-10 გვერდი: 1. ანათემა; 2. ნოსტე; 3. თანდებული; 4. მათე; 5. ანალიზი; 6. ნინია; 7. ლეგენდა; 8. ზერო; 9. ასინეთა; 10. დონიცეტი; 11. ამაზონიტი; 12. კრამერი; 13. უნაგირი; 14. უიკენდი; 15. არბიტრი; 16. ალბიონი; 17. რემბო; 18. ლურდი; 19. გული; 20. მედეა; 21. ლევ; 22. საუნა; 23. მაზლი; 24. შირმა; 25. კურარე; 26. არტისტი; 27. ბაკულა; 28. გენუა; 29. რაიან; 30. სმალტა; 31. შკოდა; 32. იაკუძა; 33. ილი; 34. ნარმა; 35. ონისე; 36. მესა; 37. ნივა; 38. იონი; 39. ლაციო; 40. ლასო; 41. დაიმი; 42. იარა; 43. ეტლი; 44. იანკა; 45. სენაკი; 46. ხბო; 47. ნერუდა; 48. ტაიმი; 49. იო; 50. ნაი; 51. კურა; 52. ოსტი; 53. ძაბული; 54. ალი; 55. ია; 56. ლომე; 57. სი; 58. კოალა; 59. ჰონიარა; 60. ორლი; 61. ომი; 62. ჰაიმორიტი; 63. კალორია.

მე-12 გვერდი: 1. დრაივი; 2. რენესანსი; 3. ივანიშვილი; 4. დრაქმა; 5. რემონტი; 6. ქალამანი; 7. ანჩარი; 8. ჩარი; 9. ონიქსი; 10. სმალტა; 11. ებონიტი; 12. „რომენი“; 13. წნევა; 14. ეპოლეტი; 15. არალი; 16. ტბა; 17. ამური; 18. გონიტი; 19. იონა; 20. არტალა; 21. სპირტი; 22. პანტა; 23. ნეი; 24. ყბა; 25. პავლოვნია; 26. ნესესერი; 27. ტირი; 28. ამინ; 29. პკე; 30. შიოლა; 31. ვესტა; 32. ტვინი; 33. ლილვი; 34. ინრო; 35. ლედ; 36. სია; 37. აბატი; 38. კამორა; 39. ატა; 40. ნინძა; 41. აქსესუარი; 42. ბაია; 43. მი; 44. სუმო; 45. „სტენვეი“; 46. გრაცია; 47. ლიმა; 48. ერე; 49. ერინ; 50. რქა; 51. სინდიყი; 52. ეტი; 53. ეფენდი; 54. უაილდი; 55. ურვადი; 56. ინია; 57. ტვისტი; 58. მენჯი; 59. ფხა; 60. მუმუ; 61. ძაბრი; 62. მირიადი; 63. სენეკა; 64. პაპაია; 65. მაცოლა; 66. მიაუ; 67. აბა; 68. კივი; 69. ნალია; 70. კარავაი; 71. ბეი; 72. რენტა; 73. აბი; 74. ხამურაბი; 75. იარა; 76. სვია; 77. ფანჯი; 78. დადაიზმი; 79. ლივ; 80. ქლიბი; 81. საარი; 82. აია; 83. ტიარა; 84. ომსკი; 85. ოსლო; 86. ელი.

საყვარელი საკვები – ტუალეტის ქაღალდი

დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა მკვიდრმა აღიარა, რომ ყოველდღე ერთ რულონ ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს. 25 წლის ჯეიდ სილვესტრი, 5 შვილის დედა აცხადებს, რომ ამ უჩვეულო პროდუქტის ჭამა ფეხმძიმობის მეორე თვეზე დაიწყო. ვერ ამიხსნია, ეს რატომ მოხდა. ძალიან მომწონს ქაღალდის ტექსტურა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მისი გემო. მომწონს სიმშრალის შეგრძნება პირში, — ამბობს ჯეიდი. ეს მისწრაფება არ გამქრალა ფეხმძიმობის შემდეგაც და უკვე ერთი წელია, სილვესტრი ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს. ამასობაში მას საყვარელი სახეობებიც გაუჩნდა — ბრიტანელი უპირატესობას ანიჭებს იმ სავაჭრო მარკებს, რომელსაც სუპერმარკეტების ბრენდები უშვებს. ეს უცნაური მისწრაფება აშინებს არა მხოლოდ ჯეიდს, არამედ მის ახლობლებსაც, მაგრამ ამ მავნე ჩვევას ვერაფერს შველიან. თანდათანობით კი სილვესტრი სულ უფრო მეტ ქაღალდს ჭამს. მედიკოსები ამბობენ, რომ საკვებად უვარგისი პროდუქტის მოხმარება ფეხმძიმობისას საშიშია არა მხოლოდ დედის, არამედ მომავალი შვილისთვისაც. თუმცა, ბიჭი, რომელიც ჯეიდამ გააჩინა, სრულიად ჯანმრთელია.

1. საბანაოდ განკუთვნილი ჭურჭელი
2. ტყე პარიზთან
3. ქალაქი იმერეთის მხარეში
4. ეკლიანი ბალახი
5. ნარინჯისფერი ბოსტნეული
6. მესამე მუსიკალ. ინტერვალი
7. სოფიკოს კინოროლი „ნატვრის ხეში“
8. მდინარე ციმბირში
9. მარკების ჩასაწყობი ალბომი
10. ეკონომიკ. სანქციების ერთ-ერთი სახეობა
11. ნაყოფიერების ფრიგიული ქალღმერთი
12. სუსტი ქარი, ნიავი
13. ერთმანეთში შეგრ. ფულით ქეიფი
14. ლონდონის საქმიანი ცენტრი
15. ფუჭი, უშედეგო
16. პარკოსანი მცენარე
17. აბელის მკვლელი
18. ქართველ ქალთა ცეკვა
19. მდინარე პოლონეთის დედაქალაქში
20. ორი ძვლის შეერთ. სრტ. მეშვეობით
21. მუსიკ. ... მარლი
22. მცირე პლანეტა
23. ღვთის სადიდებელი შეძახილი
24. ბუდისტური საკულტო ნაგებობა
25. ძველი ქუთაისი
26. ზღვის ნიმფა
27. საესტრადო წარმოდგენა
28. ვაზის ბაღი
29. საავადმყოფოს ოთახი
30. საახალწლო ტკბილეული
31. სისხლის გამცემი
32. რუსი პოეტი დეკაბრისტი
33. კავკასიის მთიელთა სოფელი
34. მშვილდით სასროლი ჯოხი
35. ჭადრაკის ფიგურა
36. ფარული დაცინვა
37. მსახიობი რასელ ...
38. საბერძნეთის პოლიტიკ. პოლიცია
39. ფინანსური მომსახურეობის სახეობა
40. „ყველაფრის მკურნალი“
41. დილის სიმღერა ტუბადურთა პოეზიაში
42. იგივეა, რაც სვირინგი
43. არქტიკ ოლქის მცენარეულობის ტიპი
44. პარტია ჩოგბურთის თამაშში
45. ალ. ბასილაიას ანსამბლი
46. კბილის დაავადება
47. მარადიული ქალაქი
48. კიპლინგის „რიკი-ტიკი-...“
49. წამლის ბურთულა
50. თურქეთის ვალუტა
51. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
52. კანფეტი ბავშვის ენაზე
53. პატარა რესტორანი
54. სასიგნალო ტივტივა წყალზე
55. ძვ. ქართული წონის ერთეული
56. იულიუს კეისრის ასული
57. პოეტი ... ხაიამი
58. თოვლის ფანტელი
59. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
60. თოვლის კაცი
61. სიმღერების ავტორ-შემსრულებელი
62. გაზაფხულის ყვავილი
63. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის

რეკორდსმენი მწარე წიწაკის ჭამაში

ჩინელი მამაკაცი, 48 წლის ლი იონჯი ჩილის „მეფედ“ აღიარეს იმის გამო, რომ დღის განმავლობაში ამ პროდუქტს წარმოუდგენელი როდენობით მიირთმევს. ყოველდღიურად ლი 2 კილოგრამზე მეტ წიწაკას ჭამს. მას შეუძლია უარი თქვას ხორცსა და თევზზე, მაგრამ წიწაკის გარეშე ერთი დღეც ვერ ძლებს. ის არა მხოლოდ მისი მენიუს ნაწილია, არამედ ჭამის შემდეგ კბილების გასაწმენდსაც უცვლის. „ჩილის მეფე“ ამ საკვებით თავს თავად ამარაგებს — სახლთან ახლოს ნაკვეთზე მწარე წიწაკის 8 სახეობა მოჰყავს. ლის ეს უცნაური გატაცება მას შემდეგ აღმოაჩნდა, რაც მისი ვაჟი ავარიაში მოყვა და მთელი დანაზოგი მის მკურნალობას მოხმარდა. ერთხელაც, როცა შიმშილისგან უკვე გული მისდიოდა, ლიმ გადაწყვიტა, სასადილოში წიწაკა ეჭამა. მოულოდნელად, მან ორი საწიწაკე მოასუფთავა, თანაც სიმწარე საერთოდ არ აწუხებდა — აღმოჩნდა, რომ იგი შესანიშნავად იტანს მწარე საკვებს და, როგორც თავად ამტკიცებს, ჩილი ქრონიკული დაავადებების დაძლევაშიც დაეხმარა.

სიმსივნის მალარიით დაამარცხებენ?

მალარიის დახმარებით შესაძლოა სიმსივნური დაავადებების დამარცხება, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სწავლულები. ეს აღმოჩენა ფეხმძიმეებზე მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინის ცდებისას გაკეთდა. ნახშირწყალი, რომელსაც მალარიის პარაზიტი უერთდება პლაცენტაში, იმ ნახშირწყლის იდენტურია, რომელსაც კიბოს უჯრედები შეიცავს. პლაცენტაში ნახშირწყალი სწრაფ ზრდაზეა პასუხისმგებელი და ასევე იწვევს სიმსივნური წარმონაქმნის ზრდასაც. როცა მალარიის პარაზიტი კიბოს უჯრედებს „მიუსიეს“, ის მაშინვე ნახშირწყლისკენ გაემართა. მრავალრიცხოვანმა ტესტებმა აჩვენა, რომ მალარიის ცილისა და ტოქსინის კომბინაციას შეუძლია ყველა ტიპის კიბოს 90%-ს შეუტიოს. ეს თეორია სწავლულებმა უკვე შეამოწმეს ლაბორატორიულ თაგვებზე. შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალი მეთოდით სიმსივნის ზომა სამი მეოთხედით შემცირდა, ზოგ მღრღნელებში კი ის საერთოდ გაქრა. კლინიკური კვლევების დაწყებას დანიელი მეცნიერები უახლოეს მომავალში აპირებენ.

ალკოჰოლიზმს ჭამით განკურნავენ

პენსილვანიელი სწავლულების ახალი გამოკვლევის თანახმად, ზედმეტი კვება, ანუ დროის მოკლე ხანში დიდი რაოდენობით საკვების მიღება ადამიანს ფსიქოტროპული, ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან იხსნის. ამ აღმოჩენით, შესაძლოა, ადამიანი ნებისმიერი მავნე ჩვევისგან განიკურნოს. ალკოჰოლიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამოკიდებულებაა როგორც მამაკაცებში, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც. ზედმეტი ჭამა და ნარკოტიკების მიღებაც — ორივე კონტროლის დაკარგვით ხასიათდება. ერთი დაავადებისას თავზე კონტროლის დაკარგვა მეორეზეც იგივეს იწვევს. ესე იგი, თუ ერთ მავნე ჩვევას დავამარცხებთ, შევძლებთ მეორის განკურნებასაც. მკვლევარებმა ცდები მღრნელებზე ჩაატარეს. თაგვები, რომელთაც ნარკოტიკს უკეთებდნენ, სხვადასხვა დიეტაზე დასვეს. პირველ ჯგუფს ნორმალურად კვებავდნენ, მეორეს მუდმივად შეეძლო ცხიმიანი საკვების მიღება, მესამე ჯგუფს კი ამის საშუალება კვირაში ერთხელ ჰქონდა. მეოთხე ჯგუფის წევრებს კი ამ მავნე საკვებს კვირაში სამჯერ აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება მეოთხე ჯგუფის მღრღნელებში შემცირდა. ამან სწავლულებს დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: „რაციონალური“ ზედმეტი კვება შესაძლოა ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების წამლად იქცეს, უკონტროლო ჭამა კი, პირიქით, დამოკიდებულებას აძლიერებს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.